„მოგზაური“ წელიწადში ღირს 5 მან. ნახევარ წლით 3 მ. ცალკე ნომერი 10 კ. ადრესი: თფილისი, ნიკოლოზ. ქ, № 44.

მოგზაური

უოველკვირეული ჟურნალი

რედაქცია ღიაა ყოველ დღე დილის 10 საათ. შუადღის 1 საათამდე, და საღამოს: 6 სათ. 7 საათამდე.

№ 35. კვირა, 25 სექტემბერი 1905 წლისა. № 35

შინაარსი: სომხის ბურჟუაზია და მისი დამცველები, ფ. მახარაძისა.—სხვა-და-სხვა ამბები.—დაბა სოფლის ამბები.—რუსეთის მდგომარეობა.—შინაური მიმოხილვა.—რუსეთის ქრონიკა.—უცხოეთის ამბები.—იგი სხვაა სხვები სხვაა..., თაგუნასი.—საკუთარი სახის დანახვა, ფ. მახარაძისა.—სომხის იდეოლოგები, ხეჩოსი.—ბაქოს მდგომარეობა, კ.—კისა.—თფილისის ტრამვაი და მისი მოსამსახურეები, კ. იმ—შვილისა.—პეტერბურგის ფარმაცევტების კრება.—განცხადებები.

სომხის ბურჟუაზია და მისი დამცველები.

ჩვენ აქამდის შემთხვევა არ გვქონებია განსაკუთრებით სომხის ბურჟუაზიის შევხებოდით და მისი გაუმაძღარი მადა და შოვინისტური მიმართულება გამოგვეშკარავებია. ჩვენ როცა ბურჟუაზიაზე გვიხდებოდა წერა, ჩვენ მხედველობაში გვქონდა საზოგადოთ ყველა ქვეყნის და ყველა ერის ბურჟუაზია, და მხოლოთ ზოგიერთ შემთხვევაში თუ მოვიხსენიებდით ქართველ ბურჟუაზიას. ყველასათვის აშკარა უნდა იყოს, რომ არსებითათ სხვადასხვა ერის ბურჟუაზია არაფრით განსხვავდება ერთი მეორისაგან, განსხვავება შეიძლება მხოლოთ ისეთ წვრილ რამეებში იყოს, რასაც სრულებით არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, და როცა თქვენ ერთი ერის ბურჟუაზიას ახასიათებთ, ამით რამდენიმეთ ახასიათებთ სხვა ერის ბურჟუაზიასაც. ბურჟუაზიის ბუნება, მისი აღორძინება და ზრდა-განვითარება დაახლოვებით ყოველგან ერთნაირათ, ერთნაირი საშუალებებით, ერთნაირი გზით ხდება. ეს საშუალება, ეს გზა მშრომელი ხალხის გაყვლეფაა, პროლეტარიატის ეკონომიურათ და პოლიტიკურათ დამონებაა. მაგრამ ბურჟუაზიის აღორძინებასთან ერთათ, მეტი თუ ნაკლები სიჩქარით, ხდება პროლეტარიატის, როგორც ცალკე საზოგადოებრივი კლასისა, გამოღვიძება, მისი კლასსობრივი შეგნების განვითარება. თუ თქვენ საზოგადოებრივ ურთიერთობის დაფასებაში თუ აწონ-დაწონაში კლასსობრივი ბრძოლის იდეით ხელმძღვანელობთ და საზოგადოთ ბურჟუაზიის წინააღმდეგ პროლეტარიატის ინტერესებს იცავთ, ყოვლად შეუძლებელია, რომ თქვენ იმავე დროს რომელიმე ერის ბურჟუაზიის მომხრე იყოთ რამეში, ან მის საქციელს ამართლებდეთ. ამას თხოულობს უბრალო ლოღიკა და საღი მსჯელობა. მაგრამ, საუბედუროთ ასეთ ლოღიკას და ასეთ მსჯელობას მოკლებულია ყველა ერის ბურჟუაზია და მისი იდეოლოგები. ქართველი ბურჟუაზია და მისი იდეოლოგები უეჭველათ სომხის და სხვა ადგილობრივ ბურჟუაზიის წინააღმდეგ არიან ამხედრებული და პირიქით: სომხის ბურჟუაზია თავისი დამჭაშ-იდეოლოგებით სხვა ერის ბურჟუაზიის წინააღმდეგ იბრძვიან. მაგრამ პროლეტარიატისათვის სულ ერთია, რომელი ერის ბურჟუაზია ატყავებს და კრეჭს მას, თუ იგი რამდენიმეთ მაინც შეგნებულია. მისთვის სულ ერთია სომხის, ქართველის თუ რომელიმე სხვა ერის ბურჟუაზიის ჯიბეში ზადადის მისი შრომის ნაყოფი, ქართველი სომხის თუ სხვა ერის ბურჟუაზია სუქდება მისი ნაშრომ-ნაოფლარით. მხოლოთ ბურჟუა-ლიბერალი ანუ ბურჟუაზიის იდეოლოგი გამოდის და ეუბნება მას: ეს სომეხია და ის ქართველი. და ამიტომ შენ იმათ ერთნაირათ ნუ მოექცევი. როგორც სომეხი მუშა, შენ სომეხ-კაპიტალისტის წინააღმდეგ არ უნდა წახვიდე, ის ჩვენია. ის ჩვენ საერთო ინტერესებისათვისს ზრუნავს, იგი ინახავს სკოლებს, სცემს გაზეთებს და აძლევს შეწირულებას ჩვენ მღვდლებს და ეკლესია-მონასტრებსო. ასევე იქცევა ქართველი ბურჟუაზიის იდეოლოგიც, რომლის თვალში ქართველი კაპიტალისტი რაღაც სუსტი და შესაბრალისი არსებაა, რომელიც ქართველი მუშების დახმარებას საჭიროებს, რათა სხვა ერის ბურჟუაზიას მეტოქეობა გაუწიოს და მით ჩვენი კულტურა წინ წასწიოსო. ყოველივე ეს ანბანური ჭეშმარიტებაა, და თუ ჩვენ აქ ამის განმეორება, დაგვჭირდა, ეს მხოლოთ იმიტომ, რომ „მოგზაურში“ დაბეჭდილმა ჩვენმა წერილმა „სომხების და თათრების ურთიერთობა ამიერ-კავკასიაში“ (№ 33) დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია, როგორც მწერლობაში, ისე საზოგადოებაშიაც. ეს მითქმა-მოთქმა უმთავრესათ იმაზე არის დამყარებული, რომ ჩვენი შეხედულება სრულებით ვერ გაუგიათ, ან უფრო მართლი რომ ვთქვათ, არ მოუნდომებიათ მისი გაგება. ეს ასეც უნდა მომხდარიყო, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, თუ რა წრეებში გამოიწვია ჩვენმა წერილმა მითქმა-მოთქმა. რადგანაც მე ხსენებულ წერილში განსაკუთრებით სომხის ბურჟუაზიაზე მქონდა ლაპარაკი, და ვკიცხავდი მის შოვინისტურ მიდრეკილებას, ამიტომ მოსალოდნელი იყო, რომ ჩვენ ამას არ გვაპატიებდენ უწინარეს ყოვლისა სომხის ბურჟუაზიის იდეოლოგები. მეორე მხრით, ვინაიდგან ჩვენ იქ აშკარათ დავგმეთ სომხის ბურჟუაზიის და მისი იდეოლოგების ოინები სომხის პროლეტარიატის მოსაცდუნებლათ ნახმარი, ამას ჩვენ, რა თქმა უნდა დიდ სამსახურში ჩაგვითლიდა ქართველი ნაციონალისტები, ე. ი. ქართველი ბურჟუაზიის იდეოლოგები. და აი სწორეთ ასე მოხდა.

უპირველეს ყოვლისა ქართველ ნაციონალისტების ორგანომ „ცნობის ფურცელმა„ ხსენებული წერილის გამო პირველათ საჯაროთ გამოაცხადა, რომ ჩვენ, ე. ი. ქართველი ნაციონალისტები, სავსებით ვეთანხმებით ბ-ნ მახარაძესო. ერთი ვკითხოთ: რაში? შეიძლება ხსენებულ ორგანოს ეგონა, რომ ჩვენ სომხის ხალხს ვაძაგებდით და არა სომხის ბურჟუაზიას? ან შეიძლება მისი აზრით, სომხის ნაციონალისტების და სომხის ბურჟუაზიის იდეოლოგების ძაგება ქართველ ნაციონალისტების და ქართველ ბურჟუა-ლიბერალების ქებაა? სხვა ნაირათ ჩვენ ვერ აგვიხსნია, რას ნიშნავდა „ცნობის ფურცლის „მხრით თანაგრძნობის გამოცხადება. ერთი სიტყვით, ჩვენთვის გაუგებარი დარჩა, თუ რა იყო ქართველი ნაციონალისტებისთვის ჩვენ წერილში მაინცა და მაინც სასიამოვნო... რაც სომხის ბურჟუაზიის შესახებ ვთქვით, ეს

ჩვენ ქართველ ბურჟუაზიაზედაც გვითქვამს, ვამბობთ და ვიტყვით. სულ სხვაა ახალი ხომხური გაზეთი „არშალუისი“, რომელსაც ჩვენი სომეხი ამხანაგი „მყვირალას“ უწოდებს. ჩვენ კარგათ ვიცოდით, რომ სომხის იდეოლოგები ჩვენ არ გვაპატიებდენ სომხის ბურჟუაზიაზე მართალი სიტყვის თქმას, ვინაიდან ეს მართალი სიტყვა მისთვის მეტათ მწვავეა, და ,,არშალუისმა'' გაცვეთილი ლიბერალური ფრაზეოლოგიით შეიარაღებულმა, გამოილაშქრა ჩვენ წინააღმდეგ. მან ისარგებლა ჩვენი წერილის ცალკე სიტყვებით და წინადადებებით წერილის საერთო მიმართულებასთან დაუკავშირებლათ და ის დასკვნა გამოიყვანა, რომ ჩვენ ვითომც ცნობილ სუვორინებთან, მეშჩერსკებთან, კომაროვებთან და tutti quanti-ებთან ერთათ კაციჭამიობას ვქადაგებდეთ, ერთ ერს მეორე ერზე ვუსევდეთ და მათ შორის მტრობას და ქიშპობას ვთესვიდეთ. აქ კი პატივცემულმა ორგანომ, ცოტა არ იყოს, მეტის მეტათ გადააჭარბა. სულ გაუგებელი უნდა იყოს კაცი, რომ ჩვენსა და სუვორინებსა, მეშჩერსკებსა და კამაროვებს შორის რაიმე მსგავსება დაინახოს. ამიტომ ეს ბრალდება ჩვენ სრულებით არ გვეხება, და იგი უფრო „არშალუისის'' მსგავს გაზეთებს უფრო შეფერის.

რას ვამბობდით ჩვენ თავის წერილში სომხების შესახებ? მთელი სომხის ერი გვყავდა ჩვენ მხედველობაში, თუ მხოლოთ სომხის ბურჟუაზია? საკმარისია ჩვენი წერილი ბოლომდის გადაიკითხოთ, რომ ამის შესახებ ყოველივე ეჭვი გაგეფანტოთ. მართალია, ერთ ადგილას ჩვენ წერილში ნათქვამია, რომ „სომხები მუდამ ჟამ თავის მაღალ კულტურულ და განმანათლებელ ღვაწლზე გაიძახიანო“, მაგრამ ყველასათვის აშკარა უნდა იყოს, რომ აქ სწორეთ სომხის ბურჟუაზიის იდეოლოგებზე და ნაციონალისტებზეა ლაპარაკი და არა საერთოთ სომხის ერზე. ჩვენი წერილის დედა აზრი იმაზეა აშენებული, რომ სომხის ბურჟუაზიამ თავის ინტერესების დასაცველათ ისარგებლა ყველა იმ განსაკუთრებული პირობებით, რომლებშიაც იმყოფება საერთოთ მთელი სომხის ხალხი, და განსაკუთრებით სომხის პროლეტარიატი. სომხის ბურჟუაზიამ ისარგებლა ამ განსაკუთრებულ პირობებით და სომხის ხალხში გაავრცელა ის აზრი, რომ ყველა სომხები, განურჩევლათ წოდებისა და მდგომარეობისა, ერთაირ პირობებში იმყოფებიან, ყველანი ერთნაირათ იტანჯებიან გარეშე მტრებისგანო. რადგანაც სომხის ხალხი დაქსაქსულათ ცხოვრობს სხვა და სხვა ქვეყნებში, რადგანაც მისი შვილები დაშორებული არიან ერთი-ერთმანეთისაგან, რადგანაც მათ არა აქვთ საკუთარი სახელმწიფო, ამიტომ ამ ყალბ შეხედულებას ხალხში ნიადაგი დაურჩა. რაც დრო მიდიოდა, სომხის კლესია და სომხის ენა სულ უფრო და უფრო იდევნებოდა, და ამიტომ ყალბი შეხედულება სულ უფრო და უფრო ფეხს იკიდებდა სომხის ხალხში. ეს გარემოება ძრიელ აბრკოლებდა და აბრკოლებს დღესაც სომხის მუშა ხალხში, როგორც ქალაქის, ისე კიდევ უფრო სოფლის, კლასობრივი შეგნების ვანვითარებას. სომხის მუშა ხალხში კლასობრივი ბრძოლის იდეა ვერ იქნა ჯეროვანათ შეტანილი, და ამაში თუ ვინმეა დამნაშავე ეს უწინარეს ყოვლისა სომხის ბურჟუაზიის იდეოლოგები. სომხის მუშა იყვლიფება არა მარტო როგორც მუშა, არამედ კიდევ უფრო, როგორც სომეხი. აქედან არავინ იფიქროს, რომ ამას მარტო სომხის ბურჟუაზია ჩადის. სრულებითაც არა. ასე იქცევა ყველა ქვეყნის და ყველა ერის ბურჟუაზია, მაგრამ ყოველგან ერთნაირათ ვერ გაუყავს მას ცხოვრებაში თავისი განზრახვა. არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ დღემდის სომხის ბურჟუაზიას ამ მხრით ბადალი არ ყავდა. მხოლოთ ამ უკანასკნელ დროს ულალატა მას რამდენიმეთ ბედმა. და მარლაც, სომხის პროლეტარიატი ხომ მუდამ ისე ბრიყვი არ დარჩებოდა. და ამ უკანასკნელ დროს მაშიაც იღვიძებს შეგნება დანელნელა ვითარდება კლასობრივი თვითცნობიერება. მაგრამ სანამ ამ მხრიდან მზადდებოდა სომხის ბურჟუაზიის დამარცხება, მოულოდნელათ მას თავზე დაატყდა სომხებსა და თათრებს შორის ატეხილი უთანხმოება, რომელიც აშკარა ომათ გარდაიქცა. ნურავის გონია, რომ ვითომც ჩვენ ამ ჟლეტა-ხოცვის ბრალს სომხის ხალხს ვდებდეთ, ან და ის გვეთქვას, რომ ვითომც სომხებს არ უნდა გაეწიათ წინააღმდეგობა, როცა იმათ თათრები ეცემოდენ და ხოცავდენ. ეჭვი არ არის, რომ სომხის ბურჟუაზიას არ სურდა ეს სისხლის ღვრა, რადგანაც ეს მისთვის საზარალოა, მაგრამ მეორე მხრით მის მოღვაწეობას აუცილებლათ ეს უნდა მოყოლოდა. რამდენიც უნდა ვეძიოთ სომხების და თათრების ჟლეტა-ხოცვის მიზეზი, ბოლოს მაინც იმ დასკვნამდე უნდა მივიდეთ, რომ ამის უმთავრესი მიზეზი ისევ ნიადაგ პირობებში უნდა ვეძიოთ. დღემდის არც სომხის და მით უმეტეს არც თათრის პროლეტარიატს აქტიური როლი არ უთამაშია საზოგადოებრივ ცხოვრებაში. რაც მოხდა, რაც იყო, ეს ყოველივე საკუთრივ ბურჟუაზიის აქტიური მოქმედების ნაყოფია. თუ რა მავნებელი გამოდგა ეს მოღვაწეობა, ამაზე აქ მეტია ლაპარაკი,—ეს ისეთაც აშკარაა. მომავალში პროლეტარიატმა უნდა უსათუოთ თავი გაანებოს უმოქმედობას, შეითვისოს კლასობრივი ბრძოლის დედა აზრი და თითონ იკისროს სასოგადოებრივ ურთიერთობაში პირველი როლის თამაშობა. მაშინ ადგილი აღარ ექნება არც ტერიტორიის საკითხს, არც ერთა შორის განხეთქილებას, ქიშპობას და მტრობას.

აქედან აშკარაა, რომ ჩვენ და გაზ. „არშალუისის'' რედაქცია ძლიერ შორსა ვართ ერთმანეთზე. მას უფრო დიდი ნათესაობა აქვს ,,ივერიასა'' და ,,ცნობის ფურცელთან:'' ისინი ერთი ერთმანეთს არ ჩამორჩებიან ლიბერალური და მაღალფარდოვანი ფრაზებით. იმედია, ,,არშალუისის'' რედაქცია მომავალში უფრო ფრთხილათ მოიქცევა.

ფ. მახარაძე.

სხვადასხვა ამბები.

17—19 სექტემბერს ქუთაისში სასამართლომ ხალხის თანადასწრებით გაარჩია საქმე პლ. და შალვა ჯაფარიძეებისა, სოლ. ჩხაიძის, სევ. სანაძის, სარდ. კაპანაძეს, იოს. კირკიტაძის და მიხ. ვაშაძის. კირკიტაძეს ბრალდებოდა 1) წინასწარ განძრახვა ჭიათურის სამრეწველო ბოქაულის თანაშემწის მხეიძის მოკვლისა, რადგანაც ამ უკანასკნელმა გამოძიებაზე და სასამართლოში მისცა იმ გვარი ჩვენება ჭიათურაში მომხდარ მუშათა არეულობის შესახებ, რომლითაც რამოდენიმე ჭიათურელს ბრალი ედებოდა ამ არეულობის მოხდენაში. კირკიტაძემ ვიღაც შაქროსთან ესროლა რევოლვერი მხეიძეს, მაგრამ ააცილა, 2) და მაშინვე, რომ თავი დაეხწია დაჭერისაგან, ესროლა იქვე მყოფ პოლიც. დარაჯს მამიაშვილს, რომელსაც ტყვია აცილდა; კაპანაძეს—წინად განძრახვა პოლიც. დარაჯის იაკობჩუკის მოკვლისა, რადგანაც ამ უკანასკნელმა წინ დღით, თანამდებობის ასრულების დროს, მოკლა ზემოხსენებული შაქრო. კაპანაძემ 25 თებერვალს 1905 წ. რამოდენიმეჯერ ესროლა რევოლვერი იაკობჩუკს და დასჭრა იგი. პლატონ და შალვა ჯაფარიძეებს, ჩხაიძეს, სანაძეს და ვაშაძეს ბრალდებოდა ამ წლის 25 თებერვალს ჭიათურაში მომხდარ ყრილობაში მონაწილების მიღება იმ მიზნით, რომ მოეკლათ სამრეწველო ბოქაულის თანაშემწე მხეიძე, ამ უკანასნელის

მიერ გამოძიებაზე და სასამართლოში მიცემულ ჩვენების გამო, რომლითაც რამოდენიმე ჰიათურელს ბრალი ედება არეულობის მოხდენაში, და აგრეთვე პოლიც. დარაჯები, წინ დღით მომხდარ შაქროს მკვლელობისათვის. ბრალდებათ შეერთებულის ძალით მოკლეს ზემოხსენებული მხეიძე და პოლიც. დარაჯები იაკობიჩუკი და პერედერინი. დასწვეს პოლიც. კაზარმა და გაიტაცეს იქიდან დარაჯების თოფები და ხმლები, ვაშაძე კი ხელმძღვანელობდა ბრბოს და აქეზებდა მას. ამოღებულ ხანჯლით ნიშანს აძლევდა მას თუ საით მიემართა ბრბოს, თავის საშველათ გაქცეულს, დარაჯების მოსაკლავათ. შალვა ჯაფარიძეს ბრალდებოდა ამ დროს იმავე მიზნით დარაჯების კაზარმისათვის წინასწარ განზრახვით ცეცხლის წაკიდება, მიუხედავათ იმისა რომ შიგ კაზარმაში იმყოფებოდა ორი პოლიც. დარაჯი თავის ცოლ-შვილით. სასამართლომ გადაუწყვიტა: შალვა ჯაფარიძეს, სევასტი სანაძეს და მიხეილ ვაშაძეს ჩამოხრჩობა, იოსებ კირკიტაძეს—უვადო კატორგა, სარდიონ კაპანაძეს—15 წლით კატორგა, პლატონ ჯაფარიძე და სოლომონ ჩხაიძე სასამართლომ გაამართლა.

— 22 სექტემბერს გუბერნატორმა დაუბრუნა ქალაქის გამგეობას ხმოსნების განცხადება თანამდებობიდან გადადგომაზე. ამის გამო ქალაქის თავის ძოადგილე თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილი ამ დღეებში აპირებს ამ საკითხის განსახილველათ ხმოსნების კერძო თათბირის მოწვევას. (ნ. ო.).

— საჩივარი ადმინისტრაციაზე. ქალაქის სახლში მდგომი მეაფთიაქე ბ. გეინი ადმინისტრაციას უჩივის ზარალის ანაზღაურებას, რომელიც მოუვიდა მას 29 აგვისტოს მომხდარ თოფების სროლის დროს, რომლითაც აფთიაქის ფანჯრები დაიმტვრა და დაშავდა ლაბორატორია. საჩივარი მან წარუდგინა ტფილისის გენერალ-გუბერნატორს, რომელმაც „კავკაზის“ სიტყვით გეინს დაუბრუნა თხოვნა და განუმარტა, რომ კანონის ძალით ამისთანა შემთხვევებში პასუხს აგებს სახლის პატრონი, რომელმაც დაუშვა უკანონო კრება, რომლის დაშლისათვის საჭირო შეიქნა იარაღი. ე. ი. ამ შემთვევაში საჩივარი უნდა მიეცეს ქალაქის თვით მართველობას.

— გორის მაზრის სოფელ ხვედურეთიდან იტყობინებიან, რომ ვიღაც უცნობ პირთ მოუკლავთ ადგილობრივი მემამულე თავ. ი. ციციშვილი.

— ერევნიდან იწერებიან, რომ 19 სექტემბერს საღამოს 5 საათზე, ბულვარზე სროლა დაიწყო თათრებსა და სომხებს შორის, რომელმაც 20 წუთს გასტანა. მოკლულია 2 მუსულმანი, დაჭრილია 8, ციხეში ჩაამწყვდიეს 4 სახლის პატრონი, საიდანაც ისროდნენ. დღეს ქალაქს შიშიანობა ეტყობა.

— ადესის გენ.-გუბერნატორი აცხადებს—სტუდენტების პირველი საყოველთაო ყრილობა, უნივერსიტეტის მთავრობის გაუფრთხილებლობისა და დაუდევრობის გამო, გარდაიქცა ყველასათვის ხელმისაწვდენ საზოგადო კრებათ. გენერ.-გუბერნატორი, მიმართავს რა პროფესორებისა და სტუდენტების კეთილგონიერებას, აფრთხილებს კერძო პირთ, რომ, თუ ვინიცობაა, ვინმე მათგანი აღმოჩნდა, სტუდენტების ყრილობებზე უნივერსიტეტში, 3 ათასი მანეთი გადახდება ჯარიმათ.

— სახელმწიფო სათათბიროს წევრების რიცხვის გაწესრიგება კავკასიაში: ბაქოს გუბერნია—ბაქოდან—1; დანარჩენ ქალაქებისა და მაზრებიდან—2; ბათუმის ოლქიდან—1; დაღესტნის ოლქიდან—2; განჯის გუბერნიიდან—3; ზაქათალის ოლქიდან—1; ყარსის ოლქიდან—3 ყაზახ-რუსებიდან და 3 დანარჩენ მცხოვრებთაგან; ქუთაისის გუბერნიიდან—2; სოხუმის ოლქიდან—1, თერგის ოლქიდან—ყაზახ-რუსებიდან—1; დანარჩენ მცხოვრებთაგან—2; ტფილისის გუბერნიიდან—1; დანარჩენ ქალაქებისა და მაზრებიდან—2; ბაქოს ზღვის გუბერნიიდან—1; ერევნისა—2, სულ 29.

— პეტერბურგის გაზეთებში დაბეჭდილია: „შინაგან საქმეთა სამინისტრო შეუდგა ახალ პროექტის შემუშავებას. პროექტი შეეხება კავკასიაში ყაზახ-რუსების დასახლებას. განზრახულია ყაზახები ადგილობრივ მცხოვრებლებში აურიონ, ესე იგი ყველა სოფელთან ყაზახთა სოფელიც იქნება. ყაზახებს მიეცემათ სახაზინო მიწები საგლეხო ბანკის შემწეობით“-ო.

— საქართველოს ექსარხოსის განკარგულებით სემინარიის ყველა მოწაფენი დათხოვნილ იქმნენ სემინარიიდან ახალ განკარგულებამდე. 20 აგვისტოს ყველა მოწაფეებმა მიიღეს გზის ფული და სოფლებში წავიდნენ.

— ამას წინად გორის სადგურზე, როდესაც სახალხო მატარებელი მივიდა, ჟანდარმებმა მესამე კლასის ვაგონში ორ მგზავრს უნახეს სამი ყუმბარა, ქართული ასოები და არალეგალური გამოცემანი. (ცნ. ფურც.).

— ქუთაისიდან გუშინ დეპეშით შეგვატყობინეს: 22 სექტ. თეატრის მახლობლათ რევოლვერით მოკლეს ქვიტირის სოფლის მწერალი მეძმარიაშვილი.

—საღამოს 9 საათზე კლუბის მახლობლათ რევოლვერით მოუკლავთ ვალიკო წულუკიძე. მკვლელები დაიმალენ, წულუკიძეს ხუთჯერ დაახალეს რავოლვერი.

— სოლსკის პროექტით კრებებზე აკრძალულია ეკონომიურ, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ საკითხებზე ლაპარაკი. ამ კანონის დაცვა ევალება კრების თავმჯდომარეს; თუ თავმჯდომარემ ამ საგნებზე ლაპარაკის ნება მისცა ვისმე, ან 300 მანათით იქნება დაჯარიმებული, ან სამის თვით იქნება დაპატიმრებული (რ. ვ.).

— ამ ბოლო დროს რაჭაშიაც იჩინა თავი მოძრაობამ და ღებისა, გლოლისა და ჭიორის საზოგადოების გარდა, მთელმა რაჭამ ყოველიევე დამოკიდებულება შესწყვიტა ადმინისტრაციასთან, «ცნ. ფურ.»

— პეტერბურგის ტეხნოლოგიურ ინსტიტუტის ყრილობას დაესწრო 1045 სტუდენტი. გადასწყვიდეს განაახლონ მეცადინეობა.

— ბათომში 19 სექტემბერს პოლიციამ რამდენიმე ქარხანა გაჩხრიკა და ერთ იმათგანში ბევრი თოფი და სამხედრო მასალა აღმოაჩინა. ამის გამო დაუტყვევებიათ 20 კაცი.

— ასხაბადში „ზაკასპ. ობოზრენიე“-ს სიტყვით, 13 სექტემბერს, კრასნოვოდსკში აღმოუჩენიათ ერთის ბაქოელის ბარგში 6 ხანჯალი, ერთი რევოლვერი და 55 პატრონა.

— ბაქოს დროებით სამხედრო სასამართლომ ჩამოხრჩობა გადაუწყვიტა უბნის ზედამხედველის მიქელაძის მოკვლისთვის ბრალდებულ მიხეილ გლურჯიძეს.

— ნიჟნი-ნოვგოროდის გუბერნატორმა აკრძალა ყოველგვარი კრება პოლიციის ნებადაურთველათ.

— ბათუმში ყუმბარები, თოფები და პატრონები უნახავთ არამიანცის ქარხანაში, როგორც ჩვენა ვწერდით. ადგილობრივ გაზეთის სიტყვით, ჯერ-ჯერობით დაუპატიმრებიათ 20 კაცი.

— სენატის განმარტებით წიგნთსავაჭროების გახსნა, რათა იაფათ გაიყიდოს წიგნები, ერობების საქმე არ არის.

— ვარშავიდან იტყობინებიან, რომ ოპატოვის მაზრის

სოფ. ენვრეველიცეში დაცემიან სიმიზუნდის მადანს. საწყობებიდან მოიპარეს 182 გირ. დინამიტი, 262 კონა პატრუქი და 5000 ფისტონი. დამნაშავენი ვერ აღმოაჩინეს.

— ბათუმში რუსის სანავსნო და სავაჭრო საზოგადოების საწყობში დაიჭირეს 12 ყუთი ბერდანკა, რევოლვერი და პატრონა.

— კემიდან (ფინლიანდია) იუწყებიან, რომ ქანდარმებიდა პოლიციელები გაფაციცებით ჩხრეკენ ქალაქის ახლო-მახლო მდებარე ადგილებს. კრეისერ „აზია“-ს მოსამსახურეებმა იპოვნეს პატარა კუნძულ კემიზე ქვიშაში ჩაფლული 50 თოფი, 50 რევოლვერი, 8 ყუთი დინამიტი, 8 ათასი პატრონა.

— ქ. თელავიდან გვწერენ: 25 ამ თვეს აქაური სამოქალაქო სასწავლებლის მოწაფეები გაიფიცენ; გადასცეს უფროსს მოთხოვნილებანი, რის შემდეგ მთელი სკოლა გავიდა ქალაქ გარეთ სათათბიროთ. 21-ს მოხდა გაფიცვა სასულიერო სასწავლებელშიაც. ამავე სასწავლებლის შენობაში ეს ორი დღეა კრებები აქვთ კახეთის სამღვდელოებას. გარეშე პირებს არ ისწრობენ.

დაბა-სოფლის ამბები.

სამურზაყანო. მდებარეობით სამურზაყანო განიყოფება ორ ნაწილათ: ჩრდილოეთის და სამხრეთის; ჩრდილო ნაწილი წარმოადგენს მთა-გორიან ადგილს ტყე ბუჩქებით დაფარულს, ჰაერი აქ სასმათ სადია. ხოლო მეორე, სამხრეთის ნაწილი არის ვაკე წყობიანი ადგილი ტყე-ბუჩქებით დაფარული, რის გამო აქ ცოტაა ავათყოფობა ხშირი მოგვენახა. სამურზაყანო შედგება 11 სოფლებისგან და შეიცავს 52 ათასს მცხოვრებს რომელნიც დაბარაკობენ მეგრულათ. სამურზაყანოში მიწა საკმარისათ არის, რის გამოც აქ აგრარული კითხვა ისე გამწვავებული არ არის, როგორც სხვაგან ჩვენში: ბევრი თავისუფალი მიწაა (Общинныя земли), სადგანაც მცხოვრებლები საჭიროების დაკვარათ დებულობენ მიწას თვისდა სასარგებლოთ, მაგრამ გაჟიდვის ნება კი არა აქვთ. აქ დროებით ვალდებული გლეხობა სულაც არ არის, მხოლოთ ზოგან სამეგრელოდან გადმოსახლებულნი ცხოვრობენ თავად ბზნაურების მიწაზე ნადელს იხდიან. რადგანაც სამურზაყანოელი უზრუნველყოფილია, იგი თავის ოჯახს აშენებათ შორდება და ქალაქში სამუშაოთ არ მიდის. რადგანაც მიწა ნაყოფიერია, დიდი შრომაც არ არის საჭირო, რომ სამურზაყანოელმა საკმარი სიმინდი დათმუშაოს. მაგრამ სამურზაყანოელები ცდილობენ, უფრო ოდნი შრომით იცხოვრონ, როგორი საქმეც არის ქურდობა-ყაჩაღობა. ქურდობა-ყაჩაღობა აქ ძალიან გავრცელებულია და ბევრს ხელობათაც გადაქცეულა. წარმოიდგინეთ, ამისთანა ბატარა კუთხეში ასამდე ყაჩაღი იმალება და თავს ძარცვა-გლეჯით იკრნენს. მაგრამ, როგორც სხვაგან იმბერიაში, ისე სამურზაყანოშიც ხალხი ამ ბოდო დროს წამოდგა ფეხზე, გამოიდეძა, გაახედ-გამოიხედა და დარწმუნდა, რომ ძველებურათ ცხოვრება არ არგია, დროა რომ განახლდეს. მან უარეო ძველი წესები, საერთო მოძრაობის ფერხულში ისიც ჩაერია, ისიც ადამიანურ გზას ადგება. ოვგელგან სამურზაყანოში იკრიბება სოფლებიდან და აქვს სჯა-ბაასი თავის ჭირ-ვარამზე; ოვგელგან ხალხმა შეჰფიცა ძმობას და ამხანაგობას, ამოირჩია ათისთავები და ასისთავები, რომელთაც მიანდო ქურდობა-ყაჩაღობის მოსპობა. ხალხმა ოვგელგან გადაწყვიტა თავის ბედ-იღბალს თვითონვე გაუძღვეს და ოვგელივე საქმე სასამხანაგო სამართლით გაარჩიოს, ვინაიდგან ეხლანდელი სასამართლოები მისთვის სედ-სარგელნი არ არიან. ერთობებზე ოვგელგან ერთხმათ დაადგინეს: 1) წინადადება მისცენ ყაჩაღებს, რომ ხალხს შემოუერთდენ და ბატიოსანი შრომით იცხოვრონ, ხოლო ვინც ამას არ დათანხმდება, იმას საერთო ძალით სდიონ, როგორც სასოგადოების მავნე წევრს, 2) მოისპოს ქურდობა, ტირილი და ჭორწილი, რადგანაც სასარგებლო ჩვეულება. ამავე კრებაზე ხალხმა მოითხოვა:

1). თავისუფლება სიტყვის, ბეჭდის, კრების და სინდისის.

2). სავალდებულო უფასო სწავლა 16 წლამდე.

3). ომისთანასთან ომის შეწყვეტა.

4). მუდმივი ჯარის გაუქმება და საყოველთაო შეიარაღება საჭიროების დროს თავის დასაცავათ.

5). მოსპობა არაპირდაპირი გადასახადების და შემოსავალზე პროგრესიული გადასახადების შემოღება.

11 აგვისტოს ბ. ელინსკიმ, ბინის უფროსმა, დაასტიმრა თავადი ს. ემუხვარი, რომელსაც ბრალდებოდა ხალხის მოძრაობაში მონაწილეობის მიღება, მაგრამ რადგანაც გერაფერი დამამტკიცებელი საბუთი ვერ უშოვეს და ხალხმაც მოისურვა ამ საქმეში ჩარევა, იგი შეორე დღესვე გამოუშვეს. ბ. ელინსკის ძალიან უკმაყოფილოდა სასოგადოებები, ვინაიდან ის ყოველგან სასოგადოებას დანძღავს, ამთრახებს და ხალხის ინტერესებს ფეხ-ქვეშ თელავს.

—

სოფ. ჩოჩხათი. (გურია). 28 აგვისტოს აქ მოხდა კრება. სხვათა შორის წამოაყენებული იყო საკითხი შესახებ იმისა, რომ თავი დაანებონ სიმთვრალეს, როგორც დვინის სასმელ დუქნებში, ისე კერძო ბინების ოჯახში ქორწილის ან სხვა რაიმე შემთხვევის გამო. ცოტა ხნის კამათის შემდეგ კრებამ გადაწყვიტა; არავის არ ჰქონდეს ნება დუქნებში დათრობის, და თუ ვინმე ამ დადგენილებას დარღვევს, მან უნდა სასოგადო გზაზე დაყაროს ხუთი სუფნი კენჭი თავისი ხარჯით. აგრეთვე დაადგეს ამ ბინებს, რომლებსაც ექნება ოჯახში ქორწილი ან სტუმრიანობა, მოწვეულ ბინებს არ დაალევინოს ნახევარ ბოთლზე მეტი დვინო თითოეულს, წინააღმდეგ შემთხვევაში თუ რომელიმე ბინისას ვინმე დათვრა, სასჯელი გადახდება ოჯახის პატრონს.

ხრის. ლაზ. გურგენიძე.

—

ორენბურგი. ადგილობრივმა რკინის გზის მუშებმაც გამოიღვიძეს დღეს და იგრძნეს თუ მეცამ ჯამ რა აუტანელ ჯაფას და შიმშილობიცავენ იმიტომ. თავისი პროტესტი გაფიცვით განაცხადეს. ეს გაფიცვა მოყვა რამდენიმე ეკონომიური ხასიათის მოთხოვნას. აი ეს მოთხოვნებიც: 1) მომატება ხელფასის, 2) გაუმჯობესება საქმეთა, 3) ქმობა უფასოთ როგორც მუშისთვის ისე მათი სახლობისთვის, 4) ავათმყოფობის დროს სრული ხელფასის შენახვა, 5) უფასო სასწავლებელი ბავშვებისათვის, 6) ზრდილობიანი მოპყრობა უფროსების მხრით და სხვა...

ეს მოთხოვნები წარუდგინეს ორენბურგ-ტაშკენტის რკინის გზის მუშებმა კომპანიას და ხასუხისთვის ვადა დაუნიშნეს. მაგრამ ხასუხი ვერ მიიღეს. ამიტომ 1 ენკენისთვეს მუშებმა ხელახლა მოითხოვეს ხასუხი რკინის გზის უფროს. მაგრამ ხასუხი არც ახლა ადირსეს. მეორე დღეს 2 ენკენისთვეს მუშები მივიდენ სახელოსნოებში, მაგრამ არა სამუშაოთ, არამედ ხასუხის გასაგებათ. ხასუხს კი არავინ აძლევდა. მაშინ მუშებმა გადაწყვიტეს გაფიცვა და კიდეც გაიფიცენ. გაიფიცენ ორენბურგ-ტაშკენტის და ორენბურგ-სამარის რკინის გზების მუშები, შეუერთდენ ერთმანეთს ერთ დიდ მოედანზე. ერთ ხმათ გადაწყვიტეს რომ მუშაობას არ დაიწყებენ, სანამ იმათ მოთხოვნებს არ დააკმაყოფილებენ. 3 ენკენისთვეს იმათ შეუერთდათ მეორეები, რომლებიც მალე დაკმაყოფილდენ, რადგანაც უმთავრეს მატარებლების მოძრაობა უნდა შეჩერებულიყო. მუშებმა განაგრძეს გაფიცვა და ერთს მოედანზე იერიდენ თავს ყოველ დღეს მოსალაპარაკებლათ. კრებებზე შეკამპნიათ ერთი უცნობი ბერი, რომელსაც ბერიყოფათ არ აკარებდენ. ის ამბობდა, რომ მუშა ვართ, გვართ სემოთხოვი, რომ

მას აქვს სიბეჯდავი და დაბეჭდილი პროკლამაციები. რომ თუ სიწერობა იქნება, იმას კიდევაც შეუძლია პროკლამაციების დაბეჭდვა და სხვ. მუშებმა ამას ეჭვის თვალით შეხედეს და შეუდგენ იმის ვინაობის გამოძიებას; გაიგეს რომ ის ჯაშუში იყო და არა მუშა. 8 ნოემბრისთვეს შეგროვდენ მუშები ერთ დანიშნულს ადგილს და ეს უცნობი პირიც მოვიდა; მოვიდა თუ არა, შემოადგეს წრე და დაუწყეს გაჩხრეკა; მას ამოჰხდნენ ხარჯალი, სვისტოკი და შემჩნეული პირების სია. ამათში ორი ქართველიც ერია. როცა შემჩნეული პირების სია წაკითხულ იქმნა, მუშებმა გამოკითხეს მას, თუ რაი დებულობს იგი ამდენი კაცების გაცემაში. უცნობმა უპასუხა რომ მას ამ ხელობიდან ასი მანეთამდის აქვს შემოსავალი თვეში. სიდხმა მოინდომა ჯაშუშის გასამართლება, მაგრამ ბოლოს ისევ პოლიციის გადცეს.

მისი «დანახვებას» სიბუთება კი შესანახად ერთს სანდო პირს გადაცეს. 10 ნოემბრისთვეს რკინის გზის გამგეობამ რამდენიმე მოხსნა დააგმაყოფილა და ჯერ ჯერობით მუშებიც დათხოვნილნ, და გაფიცვაც გათავდა.

პ. თ. ბალანჩივაძე.

—

ქიზიყი. ოქტომბრის გადატრიალებულმა და თავისუფლების ნავთსადგურმა, აწ კი ბიუროკრატიულის რეჟიმით წელში გაწყვეტილმა და მოხაო ქვეყნიერებაც იკრძნო დღევანდელი მოძრაობის მნიშვნელობა და ხალხის გამოფხიზლება ვერავითარმა ბიუროკრატიულმა მალამომ ვერ შეაჩერა. აქაც დაისვა ის დიდებული კითხვა, რომელიც დღეს მთელს რუსეთში წარმოშობა ცხოვრებამ. ყველა გაურბის ბიუროკრატიულ ხელებს, ყველას მობეზრდა მისი ძალით მატხანობა, ყველა მოუთმენლად მოელის ახალ ცხოვრებას. ცუშინ კიდევ ერუ ქიზიყელი გლეხი, რომელსაც ცხრა თვითანი დევის ზღვრის და უარმანიანის შეტი არა გააგონა რა და არცა რა სხვა აინტერესებდა, დღეს ცხოვრების კრიტიკის თვალით უყურებს, რაც მასში ხდება მოსაწონა-მოსაწონს, დასწუნს იწუნებს... ბევრი ვერცარა ხავს მოკიდებულმა, დრო გადასულმა ერობის შემოდებამ გაუარეგა რიმე ქიზიყელებში ბიუროკრატს. თუმცა კი ბიუროკრატიის „დოვესკები", ახლა გამოჩენილი ჩინოვნიკები და მათი კუდები ერობის ქებით უურებს უწყვეტენ ხალხს, ბირდებიან აქ ნეტარცხოვრებას და აქ სასუფეველს ერობის შემოდების მეოხებით, მაგრამ ხალხში მაინც გაისმის მძლავრი პროტესტი მის უვარგისობაზე: „ამისთანა პირობებში ჩვენს წარმომადგენლებს არავითარი მნიშვნელობა არ ექნება და არჩევნები ტყუილად დროს დაკარგვა და წყლის ნაყვა იქნებაო". აქ ამ დღეებში დასთვლეს ჯაშუშის მიერ მოკლული მეფურგუნე, რომელიც შეგნებულ პირად იურმე ითვლებოდა და დიდის სიხარულით უურებდა დღევანდელ გამთავისუფლებელ მოძრაობას. მის ცხედარს სიუცხოვო პატივი სცეს ახალთა გამოღვიძებულმა სიდნაღმა.

ვ. ნ.

—

ქვემო იმერეთი. ენკენისთვე, ეს სამოსწავლო წლის დასაწყისი თითქმის თავდება, მაგრამ ჯერ ქვემო-იმერეთის სასოფლო სკოლებში ბაი-ბურიც არ არის. ადრე გაისმის მოსწავლე ახალგაზდობის მხიარული კიჟინა ხალხის-მიერ ათვალწუნებულ სკოლებიდან. ძონძში გახვეული, მტვრის-შრომისაგან ალაჯ გამოდებული, ფეხშიშველა, წელში მოხრილი გლეხ-კაცი, შრომის შვილი-ჩვეულებრივი სვეწნით და მუდარით ადრე მიდევს ქუჩაში მასწავლებელს: „ბატონო, შენი წერიმე, გვეცოდება მაიდე ჩემი შვილიო", და ამის ბასუხად ადრე გაისმის მასწავლებლის მოკლე, მაგრამ ამაგე დრის მწარე სიტყვები: „კაიგეთ, თქვენი შვილებისთვის, ადრე დარჩა ადგიო!" დაიკეტა ქვემო-იმერეთის სკოლები. აქაური მცოდნი განახლებულ სკოლას თხოულობენ დაჟინებით.

ქურდ-ბაცაცობა, მეკახშეობა, კაცის-კვლა, რომელიც ამ უკანასკნელ წლებში ქვემო-იმერეთის სოფლებში ხშირ მოვლენათ ქცა, დღითი-დღე ისპობა. ასის თავები და ათის თავები მეტად იშვიათ სოფლებს და უფრო დამნაშავეებს, სოფლელთა მუდმივ დაკვირვებულთ ხალხი თითონ სჯის.—ამ დღეებში ქვემო-იმერეთში ტუუილა-უბრალოთ მოკლეს ხანის ერთი მეჭედელი ფარულად. ფარულადვე მოკლეს სოფელ ჯიხაიშის მცხოვრებმა ანდრიაძემ რევოლვერით. ანდრიაძე დაუეოვნებლივ შეიპყრეს და დატუსაღეს.

ხანის სოციალ-დემოკრატიული კომიტეტი დამთავრდა, და ჩვეულებრივი მეცადინეობა დაიწყო. ხანის ქალების კერძო პროგიმნაზია ერთი წლით სრულიად დაიკეტა.

ილია ბახტაძე.

რუსეთის მდგომარეობა.

ჩვენ თვალწინ სამკვიდრო-საიმპერიო ბრძოლა ხდება. ორი ძალა ებრძვის ერთმანეთს და ერთი მათგანის გამარჯვება—მეორის სიკვდილს მოასწავებს. ყველამ კარგათ იცის თუ ვინ არის ეს ორი ფალავანი და რომელი მათგანი დასძლევს გააფთრებულ ბრძოლაში, ხიდი ჯერ-ჯერობით ძნელი სათქმელია. როდის მოეღება ბოლო ამ შეტაკებას, როდის მიწყნარდება მებრძოლ ფალავანთა გახშირებული სულის თქმა. რეაქცია და პროგრესი—ეს ორი დაუძინებელი მტერი ერთმანერთისა—პირის-პირ დგანან ბრძოლის ველზე და გამარჯვება ხან ერთს უღიმის—ხან მეორეს. მაგრამ რეაქციას მხოლოთ უღიმის ბრძოლის ღმერთი და ეს ღიმილი ისეთივე ცბიერი და ხან-მოკლეა. ოიგოროც თვით რეაქცია, რომელიც დღეს თვითმპყრობელი ბიუროკრატიის სახით უდგას წინ რუსეთის ძლიერ მოძრაობას. რამდენიც არ უნდა ეცადოს რუსეთის ბნელმა ძალებმა დღევანდელი მღელვარების ჩაქრობას და თავის ყოფილი მშვიდი ცხოვრების და განუსაზღვრელი თვითნებობის აღდგინებას—ასეთი ცდა ამაო იქნება. ახალი სასტიკი ზომები მოძრაობის წინააღმდეგ მხოლოთ ნავთით ცეცხლის ჩაქრობას დაემსგავსება. დაჩლუნგებული შეიარაღება ბიუროკრატიისა ყველასათვის სასაცილო გამხდარა, რადგან მან არა ერთხელ და ორხელ დაუმტკიცა ქვეყანას თავისი სრული უსუსურობა. დიდი ხანი აღარის მას აქეთ რაც ჩვენი ბიუროკრატია ათას სანუგეშო იმედებს აჰყარებდა შორეულ აღმოსავლეთში მომხდარ ომზე. ჯერ კიდევ დაწყებული არ იყო მანჯურიის საშინელი სისხლის ღვრა, რომ ბიუროკრატია ულვაშებში იღიმებოდა და წინ და წინ ტუჩებს ილოკავდა. ეს ომი მას ბევრ კარგ რასმე უქადდა: მას სწამდა, რომ პატრიოტული გრძნობით გატაცებული რუსეთი თავდავიწყებით მიეცემოდა თავის „სამშობლოს დაცვის" საქმეს და ყველა „ფარუჯი საზოგადოებანი", რომელნიც ძილს უფრთხობდა მას—მხოლოთ წარსულის სამწუხაროთ მოგონებათ შეიქნებოდა. რა იცოდა ბეცმა ბიუროკრატიამ, თუ ეს საარაკო ომი, შინაური ტკივილების გასაკურნავათ წამოწყებული, მისივე მსაჯული შეიქნებოდა, საბოლოოთ გამოააშკარავებდა დაწყლულებულ იარებს და მის ძველსა და ახალ ცოდვებს მხის სხივებზე გამოაშხეპრებდა. ომის დაწყებისას თითქო ყველაფერი რიგიანათ მიმდინარეობდა რუსეთში. დიდსა და პატარა ქალაქებში პატრიოტული მანიფესტაციები, ლოთი ხელიგანებისაგან შემდგარი პოლიციის და „პატრიოტ" ინტელიგენციის წინამძღოლობით—სასიამოვნოთ ფხანდა გულს ბიუროკრატიას. რეაქციის ხერხმა თითქო გასჭრა და მანჯურიის ოცდა-უწვდენელ ველმინდვრებზე დანთხეული სისხლი „ქვეშევრდომებისა" თითქო მართლაც მალამოთ ეცხებოდა ბიუროკრატიის შეყეყეულ ბედნიერებას. მაგრამ გაქრა, გაიფანტა ოცნება! პატრიოტულმა

მანიფესტაციებმა საწინააღმდეგო დემონსტრაციებს დაუთმო ალაგი. ხალხის შეგნებამ საკვირველი სისწრაფით იჩინა თავი და ისეთ ადგილებში იფეთქა, სადაც არავინ მოელოდა. .....«ხალხის წარმომადგენლებზე» ყბედობამ ვერ გამოიღო მოსალოდნელი ნაყოფი და აღმთსავლეთს დანთხეულ სისხლის ღვრას შიგ რუსეთში მოყვა სისხლის ღვრა. იაპონიასთან ომს კი ბოლო არ უჩნდა და გამარჯვება, მიუხედავათ ჩვენი სარდლების ყოყოჩობისა, ისე შორს იყო რუსეთთან, როგორც მეორეთ მოსვლა. ხალხმა კიდევ უფრო უნდო თვალით დაუწყო ცქერა ამ ომს და ახლა ბიუროკრატია იძულებული გახდა ზავზე ლაპარაკი დაეწყო. ომი უკვე აღარაფერს უქადდა სანუგეშოს, პირიქით, ის ძლიერ აფერხებდა ბიუროკრატიის განზრახვებს, რადგან შინაური ამბოხება დღითი-დღე ძლიერდებოდა და ყველა ძალები შინ იყო საჭირო.. ზაფი ჩამოვარდა და ომი შეწყდა. ახლა მთელი ყურადღება შინაურ ომს მიაქცია ბიუროკრატიამ; რეპრესიებს რეპრესიები მიუმატა. თითქმის მთელ სახელმწიფოში გაძლიერებულ დაცვის წესებია გამოცხადებული, ხოლო მრავალი ადგილები, მაზრები და ზოგი გუბერნიებიც საომარ დროის პირობებში იმყოფება.

მიუხედავათ ასეთი სასტიკი ღონისძიებისა, მოძრაობა არა თუ არ კლებულობს, დღითი დღე იზრდება; ყველა გაზეთების ქრონიკებში შეხვდებით პოლიტიკური მკვლელობის ამბებს ყოველ დღე, ხალხისა და ჯარის შეტაკებას, გაფიცვებსა და ბოიკოტებს, პოლიტიკური საქმეების გარჩევას, სიკვდილით დასჯას და სხვა და სხვა. როგორც მოსალოდნელი იყო რეაქცია იხტიბარს არ იტეხს და მისს სისასტიკეს ბოლო არ უჩანს. სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა ნათელსა და ბნელს შორის დღითი დღე მწვავდება, ორი ფალანგი-ხალხი და ბიუროკრატია გაშმაგებით ჩასჭიდებიან ერთმანერთს, მაგრამ ახალ ამოხეთქილ ძალას, მედგარს და თავდადებულს დიდხანს ვერ გაუძლებს დახავსებული, გამოთაყვანებული ბიუროკრატია..

რუსეთის ქრონიკა

როგორც „ნ. ჟ.“ გაუგონია, პოლიციის დეპარტამენტი უგზავნის დომბროვის ქვანახშირის რაიონის ადმინისტრაციას ცირკულიარს, რომელშიაც თხოულობს სასტიკი ყურადღება მიაქციოს მუშა ხალხის განწყობილებაზე, რადგან ცნობებია, რომ შესაძლებელია ამ რაიონში იფეთქოს იმისთანა უწესოებამ, როგორიც ბაქოში იყო. ეს გაფრთხილება გამოწვეულია ფინანსთა მინისტრის წერილით გენერალ-გუბერნატორ ტრეპოვისადმი. თავის წერილში სტატს-სეკრეტარი კოკოვცევი, უჩვენებს რა ბაქოს დრამის შედეგებზე მრეწველობისათვის, იტყობინება, რომ აქვს ცნობები დომბროვის ქვანახშირის რაიონში მოსახდენ უწესოების მზადებაზე რუსეთის მრეწველობა საზრდოობს გასათბობი მასალით სამი წყაროდან: ბაქოს ნავთით და დ. დონის დომბროვის რაიონებიდან ქვანახშირით. რომ დაიღუპოს თუნდ ერთი ორ უკანასკნელ რაიონთაგანი, მრეწველობის უბედურებას რიცხვი არ ექნება.

—

მრეწველობის განყოფილება შეუდგა შემუშავებას მის მიერ მიღებულ ცნობებისას სამუშაო დღის ნამდვილ სიგრძეზე ევროპიული რუსეთის ყველა ფაბრიკებსა და ქარხნებში. ჯამმა ამ ცნობებისამ უნდა დაამტკიცოს სისწორე განყოფილებისაგან განზრახულ დღე და ღამის მუშაობის ნორმის შემცირებისა, რადგან თავიდანვე უკვე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ წელიწადში განზრახული მუშაობის სისტემა წინა წელთან შედარებით საკმაოთ შეიცვალა სამუშაო დროს ნორმის შემცირების მხრით. განყოფილების მიერ შეკრებილ მასალებში არის შესადარებლათ ცნობები როგორც 1905 წ., ისე 1904 წლისაც, რაც იძლევა საშუალებას ცოტათ თუ ბევრათ ნამდვილი ციფრების საფუძვლით შევიტყოთ ნამდვილი სურათი ფაბრიკა-ქარხანაში მუშაობის ხასგრძლივობისა დღე და ღამეში.

—

ოდესაში სულ 520,000 მცხოვრებია. აქედან მხოლოთ 700 კაცს ეძლევა საარჩევნო ცენზი დუმაში. ამ 700 კაციდან მხოლოდ 115-მა განაცხადა თანხმობა არჩევნებში მონაწილეობის მიღებისა. ასევე იქცევიან ამომრჩეველნი კიევში, ხარკოვში, ეკატერინოსლავში და სხვა ქალაქებშიაც. (ს. ო).

—

10 სექტემბერს დილის 11 საათზე შედგა კრება სამხედრო მედიცინის აკადემიაში მეცადინეობის დაწყების თაობაზე. კრებას დაესწრო 350 კაცი. გაარჩიეს საკითხავი იმის შესახებ თუ როგორ გადაწყდეს მეცადინეობის შეწყვეტა დაადგინეს გადაიდვას იმ მომენტამდი, როცა უფრო მიზნის შესაფერი იქნება ტაქტიკური მოსაზრებებით. დაწვრილებითი რეზოლიუცია რომელმაც მოფინა ნათელი ახლანდელ ისტორიულ მომენტს, მიღებულ იქმნა 313 ხმით, წინააღმდეგ 44.

—

ბელოსტოკის მომწვევებმა გაუკეთეს ბოიკოტი მესაკსუდის პაპიროზის ფაბრიკას კერჩში. ამას ხსნიან მითი, რომ, როგორც ხმებია ახალგაზდა მესაკსუდი, თამბაქოს ქანხნის ერთი კაპიტალისტთაგანი იღებდა აქტიურ მონაწილეობას კერჩის დარბევაში.

—

სრულიათ რუსეთის ექიმთა კავშირის დელეგატთა კრებამ გადაწყვიტა: დაარსდეს ბიურო, რომელმაც უნდა უშოვნოს ადგილი ან რაიმე პროფესიონალური სამუშაო იმ ექიმთ, რომელნიც სამსახურიდან გაძევებული არიან ადმინისტრაციის განკარგულებით. დაწერონ ურთიერთშორის ხელშეკრულობა, რათა უფრო მეტი ზეგავლენა იქონიონ ადმინისტრაციაზე. იმ დაწესებულებათ, რომელნიც მთავრობის განკარგულებით ექიმებს დაითხოვენ, ბოიკოტი გამოუცხადონ. აგრეთვე ბოიკოტი გამოუცხადონ იმ ექიმებს, რომელნიც ასეთ დაწესებულებებში იმსახურებენ, ბოიკოტითვე შეხვდენ სახელმწიფო სათათბიროს, ვინაიდან 6 აგვისტოს კანონი არ აკმაყოფილებს თავისუფლების მოთხოვნილებებს. მოაწყონ ხოლმე გაფიცვები სამსახურში, მხოლოთ პროფესიონალური მუშაობა კი არ შეწყვიტონ. საერთო გაფიცვა იქნება ერთი უკანასკნელ ღონისძიებათაგნი გაფიცვითა შესახებ დადგენილება ერთხმათ იქმნა მიღებული.

(პრ.)

—

პეტერბურგის წიგნის მაღაზიებში საცენზურო დაწესებულებამ დაიჭირა ნება დართული წიგნები: „ეკონომიური წერილები“ ბახისა და „კომუნის მკვდრები“ ა. არნური.

(ნ. ჟ.)

—

კავკავში მე-21 დივიზიის უფროსმა გენ. სვეტლანოვმა აუკრძალა ჯარის კაცებს და აფიცრებს შემდეგი გაზეთების კითხვა: „სინ ოტ.“, «ნაშა ჟიზნ»-ას, «რუს»-ის და «კაზბეგისა».

«ს. ო-ს.

—

დეინეგი და კოშუშა, რომელთაც სევასტოპოლის სამხე-

დრო სასამართლომ სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა, დახვრიტეს 3 სექტემბერს.

—

ფილოსოფიის დოქტორი, ლიტერატორი სატიკოვი რამდენიმე თვეა, რაც საპყრობილეში იმყოფება. სატიკოვის დანაშაული იმაში მდგომარეობს, რომ მას 1904 წ. 5 დეკემბერს ბანკეტზე წარმოუთქვამს ამაღელვარებული სიტყვა, რომლითაც ორატორი თვით მპყრობელობითი მართველობის ბასამხობათ ამხედრებდა მსმენელებს. (პ. რ.).

—

ეკატერინოსლავის სამხედრო სასამართლომ გაარჩია საქმე პეტერბურგის პრივატდოცენტის ტახჩოღლოსი, რომელსაც პრისტავის მოკვლის განზრახვა ბრალდებოდა. პრივატ-დოცენტს სასამართლომ ჩამორჩობა მიუსაჯა; ამასთანავე დაადგინა შუამდგომლობა აღიძრას, რათა დამნაშავეს სასჯელი შეუმსუბუქონ. (ნ. ჟ.).

—

5 სექტემბერს ადესის სამხედრო სასამართლომ 10 წლის კატორგა გადაუწყვიტა 19 წლის ჯაბუკ სლობოდსკის, რომელსაც ბრალდებოდა არეულობის დროს მეამბოხეთა მხარეზე მოქმედება და მთავრობის განკარგულებათა წინააღმდეგ მოქმედება. (ს. ო.).

—

7 სექტემბერს პეტერბურგის სამხედრო საოლქო სასამართლომ გაარჩია საქმე სამი ესტონელი გლეხისა, რომელთაც სამხედრო დარაჯებზე თავ-დასხმა ბრალდებოდა. ბრალდებულებმა რუსული ლაპარაკი არ იცოდენ და თარჯიმანის საშვალებით აძლევდენ ჩვენებას. სასამართლომ ორი მათგანი გაამართლა; ხოლო მესამეს 2 წლით და 6 თვით არესტანტთა გამასწორებელ განყოფილებაში გაგზავნა გადაუწყვიტა. (პრ.).

—

ხერსონ'ში ადესის სამსაჯულო პალატის სესიამ განიხილა ამ დღეებში მთელი რიგი პოლიტიკური საქმეებისა.

პირველში—სერგია გონჩაროვი, 28 წლის, ედება ბრალი აღნიშნული 1 ნ. 125 და 2 ნ. 132 სტ. სასჯ. კან. ბრალდებულმა არ მისცა პასუხი თავმჯდომარის ჩვეულებრივ კითხვაზე და თხოულობს, რომ ის გაიყვანონ სხდომის ზალიდან, რადგან იმას „მთელი ეს პროცედურა" ზედმეტათ მიაჩნია.

საქმე იუსტიციის მინისტრის განკარგულებისამებრ გაირჩა ხალხის დაუწრებლათ. ხალხის დასწრებით გამოცხადებულ რეზოლიუციით გონჩაროვი იცნეს დამნაშავეთ 2 ნ. 132 სტ. სისხ. სამ. კან. მოქმედებაში და არ იცნეს დამნაშავეთ 126 სტ. და უმაღლესი მანიფესტის ძალით სასჯელისაგან გაანთავისუფლეს.

მეორე საქმეში—მეშჩანინი აბრამ გაუზნერს, 18 წლისა, და პინხუს-ხაიმ-როვნერი, 28 წლისა: ბრალდებოდათ 1 ნ. 126 და 2 პ. 1 ნ. 129 სკ. სასჯ. კან.

ამ ბრალდებულებმაც ეგრეთვე გადაჭრით უარი თქვეს თავმჯდომარის კითხვებზე პასუხის მიცემისა, განაცხადეს რა, რომ არა სურთ მონაწილეობა მიიღონ პროცესში. საქმეს არჩევენ ხალხის დაუსწრებლათ.

სახალხოთ გამოცხადებული რეზოლიუციით გაუზნერი და პ.-ხ. როვნერი ცნობილ იქმნენ დამნაშავეთ 1 ნ. 126 სტ. სახ. კან. და მიესაჯათ უფლებების ახდა და გაგზავნა დასასახლებათ, ხოლო მე-129 სტ. სამსაჯულომ გაამართლა. მესამეთ განიხილეს საქმე ბორუხ-გერშ ერლიანდსკისა, რომელსაც ედებოდა ბრალი 2 ნ. 132 სტ. სასჯ. კან. მ.-გ. ერლიანდსკის მიუსაჯა ცხრა თვით ციხეში დაპატიმრება.

უკანისკნელი საქმე,—როგორც „იუჟნოე ობოზრ." გადმოგვცემს,—გაირჩა წოდებათა წარმომადგენელთა დასწრებლათ.

—

12 სექტემბერს პეტერბურგის პოლიტეხნიკუმის დარბაზში მოხდა კრება, რომელსაც დაესწრო 2,000-მდე სტუდენტი და პოლიტეხნიკუმის პროფესორთა მთელი კორპორაცია. პროფესორმა პოსნიკოვმა ყველა პროფესორთა მაგიერათ განაცხადა, თუ სტუდენდები წესიერ სწავლას არ შეუდგებიან და პოლიტეხნიკუმში პოლიტიკურ მიტინგების გამართვას დაიწყებენ, პროფესორები, დოცენრები და ლაბორანტები სამსახურს თავს დაანებებენო. სტუდენტებმა პასუხი გასცეს. ზოგი თხოულობდა სწავლას და პოლიტიკურ მიტინგების გამართვას, ზოგი—გაფიცვის გაგრძელებას. აუარებელმა ორატორებმა ილაპარაკეს. ყველანი ამტკიცებდენ, რომ ასეთ დროს მშვიდობიანი სწავლა შეუძლებელია და ვერც სტუდენტები ჩამორჩებიან საზოგადო პოლიტიკურ მოძრაობასო. საკითხი კენჭის ყრით გადაწყდა: გაფიცვის მომხრე იყო 73 კაცი, სწავლისა—728; აქედან 700 მომხრე იყო პოლიტიკურ მიტინგების გამართვისა, 30—წინააღმდეგი, 8 კენჭი არ უყრიათ. (ს. ო.).

—

საზღვარ გარეთ.

—**გერმანია.** ძრიელ აქტიურ რევოლიუციონურ და სოციალისტურ პროპაგანდის გამო გერმანელ სალდათებსა და აგრეთვე იმ ახალგაზდათა შორის, რომლებსაც სამხედრო სამსახურში გაწვევა მოელის, სამხედრო მინისტრმა,—როგორც იტყობინება „მატენის" კორესპონდენტი ბერლინიდან,—გამოსცა ახალი პროკლამაცია, რომელშიაც, მიმართავს რა სალდათებს და უნტერაფიცრებს, უცხადებს იმათ, რომ არც ერთი გერმანელი სამხედრო პირი არ უნდა დაესწროს რომელიმე კრებებზე და მიტინგებზე და არც უნდა მიიღოს რაიმე მონაწილეობა ხელის მოწერაში და ფულების შეკრებაში თავის მთავრობისაგან ნებადაურთველათ ყოველივე შემთხვევებისთვის სათითაოთ. აღეკრძალებათ ეგრეთვე მანიფესტაციებში მონაწილეობის მიღება და ქონება ნაწერი ან ნაბეჭდი პროკლამაციებისა და რევოლიუციონური ხასიათის თხზულებებისა. უკანასკნელ დაევალება თითოეულ სალდათს დაუყოვნებლივ შეატყობინოს მთავრობას იმ თავის ამხანაგებზე, რომლებიც ზემოხსენებულ ბრძანების წინააღმდეგ მოიქცევიან.

—**საფრანგეთი.** სოციალისტურ პარტიის სენის ფედერაციამ დაადგინა თავისი განჩინება პარიჟის მუნიციპალურ რჩევის პრეზიდენტის ბრუსსის საქციელის თაობაზე, რომელიც არის წევრი აღნიშნული ფედერაციისა.

როგორც ვიცით, ბრუსმა გამოიწვია საყუედური სოციალისტების მხრით იმიტი, რომ მან, როგორც პრეზიდენტმა ქალაქის რჩევისამ მიიღო მუნიციპალიტეტის სახელით ისპანიის კოროლი. ბრუსსი მართლულობდა თავს მითი, რომ ადრევე მიღებული ქონდა ვალდებულება, რის გამოც შეუძლებელი შეიქნა ალფონს მე-XIII მიღების უარის თქმა. ფედერაციის რჩევამ დაადგინა: „გამოითქვას მწუხარება მის თაობაზე, რომ მოქალაქე ბრუსმა და ორმა მისმა ამხანაგმა მუნიციპალურ რჩევაში ჩათვალეს თავის ვალათ უფრო მიიღონ სახე'ში ვალდებულებანი მესამე პირისა, ვინემ ერთხმივი დადგენილებანი სოციალისტური პარტიისა, და მოაგონონ მათ, რომ თუ შემდეგში იმათ გაიმეორეს ამგვარი საქციელი, ისინი აგებენ პასუხს უსტავის ძალით.

—**ინგლისი.** წლიურმა მუშების კავშირთა კონგრესმა

რომელსაც ქონდა სხდომა განლეაში, ვერ შეასრულა უმთავრესი აზრი თავისი პროგრამისა. აზრი იყო შეერთება მუშების პარტიის სამი უმთავრესი ორგანიზაციისა: მუშების კავშირთა კონგრესის, ტრედ-იუნიონების გენერალური ფედერაციისა და პარლამენტში მუშების წარმომადგენლობის გაფართოების კომიტეტისა.

აღნიშნული ორგანიზაციების შეერთების აზრი ეკუთვნოდა კონგრესის პარლამენტის კომიტეტს, რომელმაც 1905 წ. თებერვალში შეადგინა შეერთებული კრება მათი კომიტეტებისა, რომელმაც გამოთქვა სურვილი მუშების პარტიის ყველა ძალთა შეერთებისა.

კონგრესის წევრ ანდერსონმა შეერთება აღიარა საჭიროთ სხვა ორატორები კი წინააღმდეგ ამისა ამტკიცებდენ, რომ სამი ორგანიზაციის შეერთება შეუძლებელია, რომ ეს გამოიწვევს არევ-დარევას და განხეთქილებას. კენჭის ყრით უმეტესობამ უარყო შეერთების რეზოლიუცია.

—

გერმანია. ბერლინიდან იწერებიან იწერებიან: არ გასჭრა მოლაპარაკებამ ელექტრონის ქარხნების მუშებსა და მათ პატრონებს შორის. გაფიცულია 30 ათასი მუშა. მუშაობა აღიკვეთა ავრეთვე ბერლინის საზოგადოების ქარხანაში, რომელიც ტრამვაის მიმოსვლას ემსახურება. მუშების ადგილზე ჩააყენა საბჭომ ინჟენერები და უმაღლესი მოსამსახურენი. ეშინიათ მიმოსვლის შეჩერებისა.—გაიხსნა სიეზდი ქალთა პროგრესიულ კავშირებისა. მთავარი საკითხი ქორწინებისა და მისი ეკონომიურ საფუძვლის გირაქმნაა.

—

ელექტრონის სამრეწველოების გაფიცვა გრძელდება. ტრამვაის მიმოსვლა შეჩერდა. ყოველგან წესიერებაა მუშების უმწიკვლო ყოფაქცევის წყალობით. მუშების დელეგატები დადიან თეთრის ლენტებით მკლავებზე და აფრთხილებენ, არავინ დაარღვიოს წესიერება. საქსონიის ლანდტაგში არჩევნების დროს კონსერვატორებმა სამი ადგილი დაკარგეს ლიბერალების სასარგებლოთ. სოციალ-დემოკრატებმა ჰოლდშტეინი გაიყვანეს.

შინაური ქრონიკა.

ჩვენ ვიცით, რომ წელს რუსეთს შიმშილი მოელის. სიმშილი რუსეთში ჩვეულებრივ მოვლენათ გარდაიქცა. ისეთი წელიწადი იშვიათი იქნება, რომ რომელსამე გუბერნიაში ხალხი სიმშილისაგან არ იტანჯებოდეს. მაგრამ წრევანდელი სიმშილი სხვა წლის სიმშილს არა გავს. მხოლოთ 1892 წლის სიმშილი თუ შეედრება მას. წელს დამშივდა რამდენიმე გუბერნიის ხალხი, ე. ი. რამდენიმე ათი მილიონი გლეხკაცობა. სწორეთ წარმოუდგენელია ამოდენა ხალხის დამშევა, მაგრამ ეს ნამდვილი ამბავია, ოფიციალურათ დამოწმებული. ჯერ მაშინაც კი, როცა ნიმშილობა არ არის, რუსის გალატაკებულ და წყალწაღებულ გლეხ-კაცობას უჭირს თავის შენახვა და ცოლ-შვილის გამოკვება, თორემ სიმშილობის დროს რაღა უნდა ითქვას. ისეთაც ეკონომიურ დაცემულ და შეცვროებულ რუსის გლეხობას წლევანდელი სიმშილობა სულ განადგურებას უქადის და მართლაც რა ეშველება მას? საიდან უნდა ელოდებოდეს იგი ხსნას? გაზეთების გამოანგარიშებით, დამშეულ გუბერნიების გამოსაკვებათ საჭიროა 250 მილიონი მანეთი. მაგრამ ახლა უნდა იკითხოთ, თუ საიდან შეიძლება ამოდენა ფულის შოვნა? მთავრობა იმას ვერ იშოვნის, რადგანაც ყოველივე ჩანთქა უბედურმა ომმა. იმავე დღეშია ერობებიც, რადგანაც არც იმათ მოეპოვებათ რაიმე სახსარი სიმშილობის წინააღმდეგ საბრძოლველათ. იმიტომ იბადება საშინელი კითხვა: მაშ რა მოუვა ამოდენა დამშეულ ხალხს? ნუ თუ იმას სიმშილისგან საკვდილი მოელის? ყველაზე საშიშროესი მტერი სიმშილია. მის დასამარცხებლათ არ გამოდგება არც თოფი და არც ზარბაზანი, არც ხიშტი და არც მათრახი. იმის დამლუპავ ჯგამანადგურებელ მოქმედებას ვერ შეაჩერებს ვერავითარი გარეშე ძალა. მასთან ბრძოლა შეუძლია მხოლოთ პურს, და აი იგი აკლია დამშეულ გლეხკაცობას, სოფლის მუშა ხალხს, რომლის კისერზე ტრიალებს ამოდენა სახელმწიფოს ხარჯები. მაგრამ ჩვენ ვცდებით როცა ვამბობთ, რომ რუსეთის გლეხობას პური არა აქვსო.

იმ დროს, როცა რუსის გლეხობას ლუკმა პური ენატრება საჭმელათ, მის მიერ მოწეული პური საზღვარ გარეთ გააქვთ და აი სწორეთ აქ არის დღევანდელი კაპიტალისტური წესწყობილების ძირითადი წინააღმდეგობა. აქ შინ ხალხი სიმშილისაგან იხოცება, და იმავე დროს კი რუსეთის პური საზღვარ გარეთ გააქვთ. რათ არ რჩება ეს პური შინ ადგილობრივ მცხოვრებლების სიმშილისაგან დასახსნელათ? იმიტომ, რომ ადგილობრივ მცხოვრებლებს უკვე არავითარი სახსარი აღარ აქვთ პურის შესაძენათ. ცნობილია, რომ სიმშილობის დროს, რამდენათაც უფრო და უფრო ღატაკდება და დაბლა ეცემა ხალხი. იმდენათ უფრო და უფრო მდიდრდებიან ხალხის სისხლის მწოველი წურბელები, ჩარჩები და საერთოთ ბურჟუა-კაპიტალისტები. ეს ხდება იმიტომ, რომ ხალხი იძულებული ხდება ნახევარ და ზოგჯერ მეხუთედ ფასათ გაყიდოს მისთვის საჭირო ნივთები, რომლებიც ხელში უვარდებათ ჩარჩ-ვაჭრებს, რომ შემდეგ როცა შემთხვევა მიეცემათ ერთი ოთხათ და ერთი სამათ გაასაღონ. თვით ის პური, რომელიც საზღვარ გარეთ გააქვთ, უმეტეს ნაწილათ ნახევრის ფასათ დამშეული ხალხისაგან არის ნაყიდი. შეიძლება ვინმემ იკითხოს, დამშეული ხალხი რიღასთვის ყიდის პურს, როცა ეს მას უჭირს. საქმეც იმაშია, რომ სწორეთ მშიერ ხალხს უხდება მისთვის აუცილებლათ საჭირო პურის და სამეურნეო ხელსაწყოს ჩალის ფასათ გაყიდვა, ვინაიდგან ამას მას აიძულებს ხაზინა, მემამულეები და მევახშეები, ვინაიდგან გლეხმა ჯერ ყველა ესენი უნდა დააკმაყოფილოს და მერე თავის თავისათვის იზრუნოს. და აი როცა თავისი თავისთვის ზრუნვას შეუდგება, მაშინ ხედავს, რომ მას ადარაფერი გააჩნია, რომ სიკვდილისაგან თავის დასახსნელათ იგი იძულებულია სამეურნეო იარაღებს გამოეთხოვოს. აქედან შეძენილი ფულით იგი მამასისხლათ ყიდულობს მის მიერ ნახევარ ფასათ გაყიდულ პურს. მაგრამ ჩქარა მას ეს უკანასკნელი საშუალებაც ეცლება ხელიდან და მაშინ იწყება სისტემატიური სიმშილის თმენა მოელის თავისი საშინელი შედეგებით. იმავე დროს კი საზღვარ გარეთ ყოველ დღე მილიონობით გააქვთ რუსეთის პური.

და აქ თქვენ აშკარათ ხედავთ, თუ რა ძლიერი განხეთქილება, თუ რა წინააღმდეგობა ღვივის თანამედროვე საზოგადოების გულში. ერთის უბედურება მეორის ბედნიერებას მეორის გამდიდრებას ნიშნავს, ერთის გალატაკება და განადგურებას მოასწავებს. ამ უკანასკნელ დროს არც რუსეთის ბურჟუაზიას დაადგა მაინცადამაინც კარგი დღე: მისი ძლევა მოსილი განვითარება როგორღაც შეფერხდა და იგი სასტიკათ დამარცხდა. მოგეხსენებათ, რომ მან შინაური ბაზარი დაკეტა საზღვარგარეთიდან შემოტანილი საქონელისათვის. ამ რიგათ რუსეთის ხალხი შეიქნა მის მეწველე ფურათ, რომელსაც იგი როგორც უნდა ისე წველიდა. გინდა თუ არა უნდა უეჭველათ იყიდო და ჩვენი თანამემამულის მიერ უვარგისათ შემზადებული საქონელი, და ისიც მაღალ ფა-

სებში, ვინაიდგან სხვა გზა არ არის. საზღვარგარეთის იაფფასიანი და კარგი საქონელი შენთვის ხელმიუწდომელია, ვინაიდგან მაღალი ბაჟების წყალობით იგი სრულებით არ მოიპოვება ჩვენ ბაზარზე ან მეტათ ძვირათ ღირს. მაგრამ რუსეთ-ს გათამამებული ბურჟუაზია, რუსეთის ხალხის სისხლით და ხორცით გამძლარი ბურჟუა-კაპიტალისტები დღეს შინაური ბაზრით აღარ კმაყოფილდებიან, ისინი უცხოეთის ბაზრის დასაპყრობათ ემზადებიან, ამაშიაც დახმარებას უწევს მათ მთავრობა; პირველ ხანებში კაპიტალისტებს აძლევენ საზღვარგარეთ გატანილ საქონელზე სხვადასხვა ჯილდოებს ფულათ, ვინც მეტ საქონელს გაიტანს, იმას უფრო მეტი ჯილდო ერგება. შემდეგ მთავრობა აღგება აგრესიულ პოლიტიკას, ცდილობს სხვა ქვეყნების შემოერთებას ბურჟუაზიისათვის ბაზრის მოსაპოვებლათ. ჩინეთის საქმეში ჩარევა, პორტ-არტურის, დალნის დაჭერა და მანჯურიაში რკინის გზის გაყვანა მხოლოთ რუსეთის ბურჟუაზიის სასარგებლოთ იყო გამოგონილი. მაგრამ აქ რუსეთის ბურჟუაზია მეტათ სისტიკათ დაძაბუნდა: მან არა თუ დაკარგა ამ ვეებერთელა ქვეყანაში ყოველგვარი გავლენა, არა თუ იქ დიდი ხნით ამოიკვეთა ფეხი და მოესპო თავის საქონელისთვის გასავრცელებელი ბაზარი, არამედ ეს დამარცხება მას შინაურ ბაზარსაც შეუსუსტებს. იაპონიასთან სავაჭრო ხელშეკრულება, რომელიც ზავის პირობებში შედის, უეჭველათ კარს გაუხსნის მთელ ციმბირში იაპონიის და აგრეთვე ამერიკის და ინგლისის ბევრათ უფრო იაფფასიან და ბევრათ უფრო კარგი თვისების საქონელს, რომელსაც მოცილეობას ვეღარ გაუწევს რუსეთის საქონელი. ეს გარემოება უეჭველათ სამრეწველო კრიზისს გამოიწვევს. მაგრამ კრიზისი ისეთაც მძვინვარებს დღეს რუსეთში. იგი შედეგია საზოგადოებრივ ცხოვრების მოუწყობლობის, გლეხების და ქალაქის მუშების არეულობებისა. ამ მხრით ყველაზე უფრო დიდი გავლენა იქონიეს ბაქოში და სხვა ადგილებში მოძრაობა-სისხლის ღვრამ, თათრებსა და სომხებს შორის მომხდარმა ყოველათ უაზრო შეტაკებამ. ყველა ამ გარემოებებმა შეაჩერეს ბურჟუაზიის და კაპიტალისტების მიერ მუშა ხალხის გაყვლეფა, ე. ი. დროებით შეაჩერეს მდიდარ კლასების გამდიდრება. ამიტომ რუსეთის ბურჟუაზია საერთოთ და განსაკუთრებით ნავთის მრეწველები დიდ საგონებელს მიეცენ. ისინი მოთქვამენ, რომ იმათ განადგურება მოელით, ასე გვგონებათ, რომ სიმშილისაგან სიკვდილი მოელით. მოითხოვენ დახმარებას, შემწეობას. მთავრობას შეჩვივან თავიანთ გაჭირვებულ მდგომარეობას და მისგან სხვადასხვა შემწეობას და დახმარებას ითხოვენ, თუ სესხით, თუ შეღავათით და სხვადასხვა გადასახადის პატიებით. მოდი და ნუ შეიბრალებ დამშეულ კაპიტალისტებს და გაჭირვებულ მილიონერებს. და აი ეს ხდება იმ დროს, როცა რუსეთის გლეხობას ლუკმა პური არა აქვს, როცა მისი ცოლშვილი ტიტველ-მშიერი დაეხეტება, როცა აუარებელი მუშა ხალხი უსაქმოთ ქუჩაზე დაყიალებს.

იგი სხვაა—სხვები სხვაა...

მე ძალიან მომწონს გაზ. „ივერიის“ ზოგიერთი მოწინავე წერილები. განსაკუთრებით ავტორის მიერ სახელ-მოუწერელი მეთაურები მომწონს, მკითხველო. ამიტომ—დილას, შევალ თუ არა რედაქციაში, უწინარეს ყოვლისა „ივერიას“ ვტაცებ ხელს, გადავშლი, და თუ ჩემი საყვარელი წერილი არის მეთაურათ მოთავსებული, გულის ფანცქალით დავეწაფები და სულ-განაბული ვკითხულობ. ვკითხულობ და ჩემს აღტაცებას საზღვარი არა აქვს: ყოველივე ფრაზა გამოკვლილია ისე, როგორც სამკედლურში, თითოეული სიტყვა ავტორის მაგარ ჰკუას და დინჯათ წერის უნარს ამხელს. ბრძენი დედა, მოუწდომელი, ვერვინ ვერ მიხვდეს რომელი. სიტყვა-ფრთოსანი ნიჭით ცხებული, დარბაისელი, ცეცხლით გზნებული. ვკითხულობ და თვალ წინ მიდგას ავტორი იმ მომენტში. როცა იგი შემოქმედობს: რედაქტორის ოთახი. სამწერლო მაგიდა. ირგვლივ სამარისებური სიჩუმე მეფობს, რომელსაც ჰხოლოთ „ავტორის“ გახშირებული ხვნეშა არღვევს. ეს იმის ნიშანია, რომ პროცესი შემოქმედებისა დაწყებულია. თავში ერთი მეორეზე საშინელი აზრი უტრიალებს „ავტორს“ და მისი პოზა და თვალთა ელვარება განრისხებულ ოტელოს მოგვაგონებს. ასეთი სულიერი განწყობილება ავტორისა იმის მომასწავებელია, რომ იგი უსათუოთ „დასელებზე“ და „მოგზაურზე“ დაიწყებს წერას. ერთი წამი კიდევ და მელანში მოუწებული კალამი ავტორის ნებისამებრ წინადადებას დასწერს. შემოქმედების პროცესი ცოტა ხნით შეწყდა, კალმის წრიპინიც შეჩერდა და ოთახში კვლავ სიჩუმე ჩამოვარდა. ახლა შემდეგი ფრაზისთვისაა საჭირო შემოქმედების პროცესის დაწყება და ავტორი იწყებს კიდეც. იფლი წურწურით ჩამოსდის ღაწვებზე და გახშირებული სულის თქმა გვამცნობს, რომ ახალი ფრაზის თხზვა დაწყებულია.. და ასე და ამ ნაირათ: მეორეს მესამე მოყვება, მეათმეს—მეოთხე, მეხუთე, სანამ ყველა ფრაზები არ გამოილევა... მეიღური მზათ არის! კმაყოფილია ჩვენი ავტორი: მან დაამტკიცა, რომ „დასელები“ უვიცები არიან, ან „ბოიკოტი“ ინგლისელებმა გამოიგონეს, ან და სოციალ-დემოკრატები ორი კაცის ინტერესებს იცავენ, ან კიდევ მუშათა პარტიას ჩვენში არავითარი ძალა არა აქვს, დაამტკიცა ყოველივე ეს და მის კმაყოფილებას საზღვარი არა აქვს. გამოიანგარიშა დაახლოებით დაწერილი სტრიქონების რაოდენობა და ბედნიერათ ამოისუნთქა.

ასე მაქვს წარმოდგენილი იმ მოწინავე წერილების თხზვა, რომელნიც მე ძალიან მიყვარს... ჩვენში ბევრია მწერლები, ძალიან ბევრი; ყოველი ქართველი მწერალი განირჩევა ერთი მეორისაგან, მარა ჩვენი ავტორი სულ სხვაა:

იგი არა გავს არც „სიტყვას“, ფელეტონების წყაროსა, რომელიც «ცნობის ფურცლის» ამშვენებს საბალნაროსა; არ გავს არც „იას“ შვენიერს, ნაზათ ხრილს, „ეკალოვანსა“, ასაკით დავაჟკაცებულს, აზრით კი მცირე წლოვანსა; არ გავს არც „გ. რ.“-ს მადლიანს, ნაზს და უბრყვილო მწერალსა, პლატონიურათ რომ ეტრფის აგრარულ კითხვის მწვერვალსა; ვანო რამიშვილს სულ არ გავს, ფრაიბურგელსა დევსაო, რომლის წინაშე ბელტოვი დამარცხებული ძევსაო; არც ვაზიანს გავს უებროს, პუბლიცისტს პოეტოვანსა, ქვეყნის ჭკვიანთა აზრს რომ ფენს „ცნობასა ფურცელოვანსა“. არც იმ ჩიტიძეს, რომელსაც ძალიან უყვარს წერაო. რომელმაც „დუმა“ და მეფე ვერ შეათანხმა, ვერაო. იგი სულ სხვაა, იკურთხოს მისი ნათელი სახეო, იმ დღეს, მკითხველო, გაზეთში მისი წერილი ნახეო? „როგორ გაკიცხეს გაზეთში ჩვენ დროის მატრაკვეცაო! ამას ვერ დავთმობ, რადგანაც მატრაკვეცა ვარ მეცაო! ამ მახარაძემ უმსგავსომ სწორეთ რომ გამამხეცაო“, და ფაფარშლილი მწერალი მტერს გააფთრებით ეცაო. დასჭექ-დაქუხა, დაელა და შეაშფოთა ზეცაო: „ჩემს სიტყვებს, ცეცხლში ნაწრთობსა, ვერ გაუმაგრდეს კლდეცაო. იმდენს გაგინებ, რომ შედრკეს „იკერიისა“ ბჭეცაო, ამბა გაბედე და კვლავაც ახსენე მატრაკვეცაო!“...

თაგუნა.

საკუთარი სახის დანახვა.

—

ძველი რომაელები ამბობდენ: როცა ღმერთები კაცის გაუბედურობას მოინდომებენ, პირველათ მას ჭკუას დაუკარგავენო. სწორეთ ეს გამახსენდა, როცა გაზ. „ივერიის“ № 168-ში მეთაურის წერილი წავიკითხე. დინჯზე უდინჯეს, ზომიერზე უზომიერეს და დარბაისელზე უდარბაისელეს „ივერიას“ ყოველივე ეს თვისებები დაუკარგავს და ბრაზმორეული პირიდან ღორბლებსა ყრის. გაზეთს დაუვიწყია და თავისივე ფეხით გაუთელავს ის, რასაც იგი ამ რამდენიმე დღის წინეთ ქადაგებდა. დაუვიწყია თავისი საკუთარი სიტყვები, რომლებიც დასტამბული იყო „ივერიის“ № 158-ში, სახელდობ: „საჭიროა, რომ **ყოველი პარტიის კაცი თავის იდეურ მოწინააღმდეგეში პატივს ცემდეს ადამიანს და მორიდებით ეპყრობოდეს მის ადამიანურ ღირსებას**“-ო. ყოველივე ეს ქებული რედაქციის ქებულმა ხელმძღვანელმა დაივიწყა, ფეხქვე'შ გათელა და ყველას აშკარათ დაანახვა, თუ მართლა თავის იდეურ მოწინააღმდეგეს როგორ უყურებს იგი ან როგორ ეპყრობა მის ადამიანურ ღირსებას. შეგვამკო რა მეთაურის ავტორმა ყოველგვარი უწმაწური ლანძღვა-გინებით, ბოლოს მან სულით ავათმყოფი ანუ უფრო გარკვევით რომ ვთქვათ გიჟი გვიწოდა და კრაფტ-ებინგის საავადმყოფოში გაგვგზავნა სააქიმოთ. აი როგორი მოპყრობა ცოდნია განახლებული რედაქციის ხელმძღვანელს, რედაქტორს ფილ. გოგიჩაიშვილს. აი თურმე თავის იდეურ მოწინააღმდეგეში როგორა ცემს იგი პატივს ადამიანს და როგორ მორიდებით ეპყრობა მის ადამიანურ ღირსებას!“ აი თურმე რას ქვიებია „ივერიის“, დღევანდელი ხელმძღვანელის აზრით, ადამიანის პატივის ცემა და ადამიანური ღირსების მაღლა დაყენება. როგორც ვიცით „ივერიის“ წინანდელი ცნობილი ხელმძღვანელიც, ო დი ი. ჭავჭავაძეც, სწორეთ ასე იქცეოდა. იგიც ადამიანის მაღალ ღირსებაზე, პიროვნების ხელუხლებობაზე, კაცურ კაცობაზე და სხვა ამ გვარებზე გაიძახოდა სიტყვით და და იმავე დროს კი საქმით ყოველი ფეხის ნაბიჯზე, როგორც მწერლობაში, ისე სხვა სფეროშიაც სხვის პიროვნებას, სხვის ადამიანურ ღირსებას ქელავდა და ჯეკნიდა. განახლებულ „ივერიას“, როგორც ეტყობა, კარგათ შეუთვისებია ძველ „ივერიის“ ზნე-ხასიათი. მაგრამ ეს ჩვენთვის ახალი ამბავი არ არის, და არც ისე რიგათ საინტერესოა. ამ ჟამათ ჩვენთვის საყურადღებო სულ სხვა გარემოებაა, სახელდობ ის, თუ რა იყო იმის მიზეზი, რომ პატივცემულმა რედაქციამ ყოველგვარი მორიდება და ადამიანის ღირსების პატივის ცემა დაკარგა. თურმე ნუ იტყვით ყველა ამის მიზეზი ყოფილა ჩემი წერილი «ისტორიული მატრაკვეცები!» ყოველივე ის, რასაც ჩვენ თანამედროვე მატრაკვეცებზე ვწერდით, «ივერიის» ხელმძღვანელს თავის თავზე მიუღია და აშკარათ, ყველას გასაგონათ გაიძახის, რომ მახარაძეს აქ მე და ჩემი ამხანაგები ყავს გამოყვანილი. მოგვყავს აქ სიტყვა-სიტყვით «ივერიის» მეთაურის ის ადგილი, სადაც ეს გასაშტერებელი ამბავია მოთხრობილი, ვინაიდგან ეს საყურადღებოა არა მარტო დღევანდელი თაობის ერთი ნაწილის დასახასიათებლათ, არამედ იგი საინტერესო იქნება მომავალი თაობისათვისაც. აი ეს ადგილიც.

«პირველათ ახლანდელ «ივერიის» «ახირებულ ბაგაჟის პატრონმა» ხელმძღვანელმა უღალატა, ხალხს: დაბრუნდა საზღვარ გარეთიდან და ბ-ნ მახარაძეს არ მიემხრო. ამავე ხალხის დამლუპველ გზას დაადგა ფრეიბურგში მოსწავლე რამიშვილი, რომელიც, ბ-ნ მახარაძის სიტყვით, ბედს უპატიოსნოთ ღალატობს. იმავე გზას მიყვა კიდევ [illegible] მოსწავლე, თუ არ ვცდებით, ამ ჟამათ გერმანიაში მოსწავლე. დასასრულ ასეთივე გზა აირჩია ბ-ნმა ვლ. დარჩიაშვილმაც, რომელმაც, ერთ თავის საგაზეთო წერილში, გაბედა და სიყვარულის გრძნობით მოიხსენია თავისი სამშობლო. და, მოგეხსენებათ, ბ-ნ მახარაძეს ისე არა ალელვებს რა, როგორც სამშობლოს ხსენება, «ვიხაედან პროლეტარიატს» და მაშასადამე, მის იდეოლოგსაც „სამშობლო არა აქვს-ო“.

აი თურმე ვინ ყოფილა ისინი, ვინც ჩვენ მატრაკვეცების სახელით მოგვნათლეთ! სახელი და დიდება გაზ. «ივერიის» მეთაურის ავტორს ასეთი მიხვედრისათვის! მართალია ჩვენ ვწერდით ჩვენი დროის მატრაკვეცებზე და რამდენათაც ჩვენი სუსტი ძალ-ღონე შეგვწევდა იმათი დახასიათება გვინდოდა. მაგრამ იმას ვერასოდეს ვერ წარმოვიდგენდი, რომ ჩვენი ცდა ისეთი გამოდგებოდა, რომ იმაში ნათლათ დაინახავდენ თავიანთ თავს ზოგიერთი ჩვენი ლიტერატორები. მაგრამ ჩვენი მოლოდინი არ გამართლდა, და გაზ. «ივერიის» მეთაური წერილის ავტორმა ჩვენ სუსტ დახასიათებაში ნათლათ ამოიკითხა ოთხი პირის დახასიათება: ბ-ნ ფ. გოგიჩაიშვილის, ივ. რამიშვილის, ვლ. დარჩიაშვილის და კიდევ ერთი უცნობის, რომელიც თურმე ამ ჟამათ გერმანიაში სწავლობს*) სწორეთ გასაშტერებელი ამბავია! ჩვენ ვცდილობდით რამდენიმეთ დაგვეხასიათებია, ჩვენი დროის მატრაკვეცები, საზოგადოებისათვის გვეჩვენებია მათი მოქმედების ყალბი საფუძველი, დაგვენახვებია მათი მეტიჩრობა, ორგულობა, მლიქვნელობა, გაიძვერობა, პირფერობა და სხვ. ვერავინ ვერ უარყოფს, რომ ასეთი «მოღვაწეები» მრავალთაგან უმრავლესია, როგორც სხვაგან, ისე ჩვენშიაც. მაგრამ „ივერიის“ მეთაურის ავტორს გადაუწყვეტია, რომ, ჩვენ ვითომც მხოლოთ „ივერიის“ ბურჯები გვყოლოდეს მხედველობაში, როცა თანამედროვე მატრაკვეცებზე ვწერდით. ვისაც ჩვენი წერილი წაკითხული აქვს, იმას უეჭველათ ეხსომება, რომ ჩვენ იქ ვახასიათებდით მატრაკვეცას საზოგადოთ, ცხოვრების ყველა სფეროში და მხოლოთ განსაკუთრებით ყურადღებას ვაქცევდით ლიტერატურულ მატრაკვეცებს. გაზ. „ივერიას“ კი მოჩვენებია, რომ ჩვენ მხოლოთ „ივერიის“ დღევანდელ ხელმძღვანელზე, ე. ი. ფ. გოგიჩაიშვილზე, ივ. რამიშვილზე, ვლ. დარჩიაშვილზე და კიდევ ერთ უცნობ ახალგაზდაზე ვწერდით. საიდან გამოიყვანა მან ასეთი დასკვნა, რა მოსაზრების ძალით ამტკიცებს ამას ჩვენი ავტორი, ეს ჩვენ არ ვიცით. მართალია ჩვენ ლიტერატურულ მატრაკვეცებზე ვწერდით, მაგრამ ლიტერატურა ხომ მარტო ამ ოთხი კაცის მონოპოლიას არ შეადგენს. ან შეიძლება მან იმ მოსაზრებით იხელმძღვანელა, რომ ვითომც ჩვენ მხოლოთ საზღვარგარეთ სწავლა მიღებული ლიტერატორები გვყვანდა მხედველობაში, მაგრამ ეს მოსაზრებაც ყოვლად უსაფუძვლოა, ვინაიდგან საზღვარგარეთ სწავლამიღებული ლიტერატორები ჩვენში გარდა იმ ოთხი პირისა სხვებიც არიან. შეიძლება კიდევ ხსენებული წერილის ავტორს ეგონა, რომ ჩვენ მხოლოთ განსაკუთრებით „ივერიის“ თანამშრომლები გვყავდა მხედველობა-

*) პატივცემული რედაქცია კაის იზამდა ბარემ ამ უცნობის ვინაობაც გამოეაშკარავებია, ვინაიდგან საზოგადოებისათვის მეტათ საჭიროა იცოდეს, თუ ვინ ემზადება სამატრაკვეცო ასპარეზზე სამოქმედოთ.

ში, მაგრამ ვინ არ იცის, რომ გარდა დასახელებული პირებისა, „ივერიას“ სხვა თანამშრომლებიცა ყავს, და რატომ პატივცემულმა ავტორმა ისინიც არ დაასახელა, რატომ ჩვენ წერილში მან მხოლოთ ოთხი კაცის დახასიათება ამოიკითხა?

რას უნდა მივაწეროთ ეს გარემოება? ერთი ქართული ანდაზა ამბობს: მელას რაც აგონდებოდა, ის ესიზმრებოდაო. სწორეთ ასე მოსდის „ივერიის“ ხელმძღვანელს. მახინჯს ყოველთვის ეზარება თავისი სახის დანახვა, ისე როგორც ჭეშმარიტების მდევნელს ჭეშმარიტების გაგონება. თუ მართლა, „ივერიის“ მეთაურის ავტორი ჩამოთვლილ პირებში მატრაკვეცებს ვერ ხედავდა, რათ გამოაცხადა საქვეყნოთ, რომ მახარაძე მხოლოთ ამათ უწოდებს მატრაკვეცებსო. მაგრამ რადგანაც „ივერიის“ რედაქცია ასე მოიქცა, ალბათ რაიმე გასამართლებელი საბუთი ჰქონდა. ეს საბუთი კი იმაში მდგომარეობს, რომ მის მიერ დასახელებულ პირებს აშკარათ ემჩნევათ ყველა ის თვისებები, რომლებიც ჩვენ წერილში იყო ჩამოთვლილი მატრაკვეცების დასახასიათებლათ. ჩვენ დამნაშავე არა ვართ იმაში, რომ ჩვენ დახასიათებაში ზოგიერთ ვაჟბატონებმა თავისი საკუთარი სახე დაინახეს. მაგრამ ჩვენ რა შუაში ვართ თუ რომ ეს სახე მახინჯია! სარკე ხომ იმას აჩვენებს, რაც ნამდვილათაა, ამიტომ ჩვენ კარვათ გვესმის „ივერიის“ განრისხება და სიბრაზე. სიყალბის მჩმახავს მხოლოთ სიმართლის ეშინია. ჩვენი ნათქვამი რომ სიმართლეს მოკლებული ყოფილიყო, ბ. გოგიჩაიშვილები ასე რიგათ როდი განრისხდებოდენ და ასეთ სიბრაზეს კი არ გამოიჩენდენ.

თვით წერილში ჩვენ არავის პირადათ არ ვეხებოდით,—ჩვენ მხოლოთ საზოგადოთ ვწერდით მატრაკვეცებზე. მაგრამ რადგანაც „ივერიის“ რედაქციამ ქართველ საზოგადოებას იმდენი სამსახური გაუწია, რომ ოთხი მატრაკვეცა პირადათ დაასახელა, ამიტომ მეტი არ იქნება, რომ იმათ სამატრაკვეცო მოღვაწეობას რამდენიმეთ მაინც ფარდა აეხადოს. ჩვენ აქ არაფერს ვიტყვით ბ-ნ ვლ. დარჩიაშვილის შესახებ, ვინაიდგან ჯერ ჯერობით მისი ფიზიონომია ჩვენ კიდევ გამოურკვეველათ მიგვაჩნია, ვინაიდგან ჯერ კიდევ იგი რაღაც რყევაშია და თითონაც კარგათ არ ესმის, ვის ან რას მიემხროს. არაფერს ვიტყვით აგრეთვე არც ბ-ნ ივ. რამიშვილის შესახებ, ვინაიდგან მისი «მოღვაწეობა» ჯერ კიდევ მეტათ უმნიშვნელოა, ანუ როგორც ფრანგები ამბობენ იგი ჯერ quantité negligeable წარმოადგენს. მით უმეტეს ეს უცნობი ახალგაზრდის შესახებ უნდა ითქვას, რომლის ვინაობას, არ ვიცით, რა მოსაზრებით, მალავს „ივერიის“ რედაქცია. დაგვრჩა მაშ ბ-ნი ფ. გოგიჩაიშვილი, და მის შესახებ სწორეთ ღირს ლაპარაკი. სამწუხაროთ, აქ ჩვენ მას დაწვრილებით ვერ შევეხებით; მაგ., სრულებით ვერ შევეხებით მის მოღვაწეობას ლიტერატურულ ასპარეზზე, სანამ იგი განახლებულ «ივერიის» ხელმძვანელი არ შეიქნებოდა. მაგრამ მისი მოღვაწეობის მოკლე განხილვაც კი საკმარისი იქნება ჩვენი მიზნისთვის,

დავიწყოთ «ივერიის» პირველ ნომრიდან. აქ მას ერთი მხრით თავისი თავი და თავისი ორგანო მუშა ხალხის ქომაგათ და დამცველათ გამოყავდა. მაგრამ მეორე მხრით, იმავე სარედაქციო წერილში მუშა ხალხის ინტერესებს ღალატობდა და აშკარათ ჩვენი ქართველი ბურჟუა-კაპიტალისტების ინტერესებს ესარჩლებოდა და მფარველობას უწევდა. აი რას წერდა იგი: „ქართველი გლეხი, მაგ., ღარიბია არა მარტო იმ მიზეზით, რომ იგი მემამულეს დიდ ღალას აძლევს და ბევრ სხვადასხვა გვარ გადასახადს იხდის, არამედ იმიტომაც, **რომ იგი განუნათლებელია, მისი წარმოების ტეხნიკა ძველებურია და შრომა მცირე ნაყოფის მიმცემია. ქართველი მუშა მცირე ჭირას იღებს** *) არა მარტო იმ მიზეზით, რომ მასში **კლასსობრივი თვითცნობიერება და ორგანიზაციის საჭიროების შეგნება ჯერ კიდევ სუსტია, არამედ იმიტომაც, რომ ადგილობრივი მრეწველი** (ქართველი, რა თქმა უნდა. ფ, მ.) **კაპიტალისტურ მოუმზადებლობის გამო, თანამედროვე გაუმჯობესებულ იარაღებით ვერ სარგებლობს და წარმოებას, ნაწარმოებთა რაოდენობისა და მოგების მხრივ, ვერ აბარაჭიანებს.** თუ ჩვენ, ერთის მხრივ, **მომხრე ვართ კლასიურ ბრძოლისა მშრომელის ეკონომიური მდგომარეობის გასაუმჯესებლათ**, მეორე მხრით მომხრე ვართ ყველა იმ გვარ ღონისძიება-საშუალებათა, რომელნიც ხელს შეუწყობენ საერთოთ მთელ საზოგადოებაში სწავლა-ცოდნის გავრცელებას, ერის საწარმოო ძალის განვითარებას. ესა და სხვა მსგავსი მუშაობა არის ისეთი საქმე, რომლის საგანი **უფრო ზოგადი კულტურული ხასიათი აქვს და რომელიც ჩვენ, კლასობრივ ბრძოლასთან ერთათ, ფრიად საჭიროა და სასარგებლოთ მიგვაჩნია**“. ანუ მოკლეთ: **„ეროვნული თვითცნობიერება და ერთობა, როცა საქმე ეროვნულ არსებობასა და ისტორიული კულტურის დაცვას შეეხება, კლასსობრივი თვითცნობიერება და საეკონომიო ბრძოლა როცა საკითხი შინაურ საზოგადოებრივ ურთიერთობათა განკარგებასა და მშრომელი ხალხის ეკონომიურ ინტერესების დაცვას შეეხება,**—აი გზა, რომელიც ჩვენ სწორათ და ნაყოფიერათ მიგვაჩნია».

აქედან მკითხველი აშკარათ ხედავს, თუ რა გზა აურჩევია ბ-ნ ფ. გოგიჩაიშვილს საზოგადოებრივ ასპარეზზე მოღვაწეობისათვის. მისი პროგრამა ისეთია, რომელიც შეუერთდება ყველა ქვეყნის ნაციონალ-ლიბერალს, ე. ი, ბურჟუაზიის იდეოლოგს. იგი აშკარათ გამოდის, რა თქმა უნდა, მუშა ხალხის წინააღმდეგ, იგი არ ებრძვის არც მუშების ორგანიზაციებს და არც მათში თვითცნობიერების განვითარების საქმეს, თუ ყოველსავე ამას მასსურ ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესობა აქვს მხედველობაში და მიმართული არ არის ქართველი მემამულეების და ქართველ მრეწველების წინააღმდეგ. ე. ი. ბ-ნ ფ. გოგიჩაიშვილს რწამს კლასსობრივი ბრძოლა, თუ რომ ეს უკანასკნელი ეროვნული თვითცნობიერების განვითარებას ხელს არ უშლის. ეროვნული თვითცნობიერება—ეს იგივე ბურჟუაზიის იდეოლოგობაა, ვინაიდგან იგი ჩვენ გვასწავლის: თუ ქართველი მუშა მცირე ჭირას ღებულობს, ეს იმიტომ რომ ქართველ კაპიტალისტს მცირე შემოსავალი აქვს, აქედან ერთათერთი დასკვნა ასეთია: ხელი შევუწყოთ ქართველ კაპიტალისტების გამდიდრებას და მაშინ ისინი მუშის ხელფასს მაღლა აწევენ. გარდა ამისა, ნუ დაივიწყებთ, რომ ქართველი გლეხი, ჩვენი ავტორის აზრით, ღარიბია არა იმ მიზეზით, რომ იგი დიდ ღალას აძლევს მემამულეს და სხვადასხვა გვარ გადასახადს იხდის, არამედ იმიტომ, რომ იგი გაუნათლებელია, ტეხნიკის არა გაეგება რა, სწავლა ცოდნა მას არა აქვს და სხვა. როგორც ხედავთ, ასეთი აზრების გავრცელება, ბ-ნ გოგიჩაიშვილის აზრით, იგივე კლასობრივი შეგნების გავრცელებაა. თქვე დალოცვილო, ამას ხომ ნეტარხსენებული ი. ჭავჭავაძის დროინდელი «ივერიაც» არ ყოფდა უარს; სწორეთ მაშინაც ასე მსჯელობდენ დღეს თქვენ მიერ განახლებული «ივერიის» ფურკლებზე. განსხვავება აქ მხოლოთ იმაშია, რომ თქვენ ეს აზრი უფრო ბუნდოვანათ გაგყავთ. იცოდეთ, რომ კლასსობრივი ბრძოლის ერთი მხრით და ეროვნული თვითცნობიერობის და ერთობას იდეის მეორე მხრით შერიგება ყოველად

*) ხაზს ყველგან ჩვენ ვუსვამთ.

შეუძლებელია. და ის, ვინც ამას ქადაგებს, არა თუ ბურჟუაზიას ქომაგობს და ესარჩლება, არამედ იგი მუშა ხალხში შეგნების განვითარებას აბრკოლებს, რასაკვირველია, ეს ხდება იმდენათ, რამდენათაც ასეთ პირს გავლენა აქვს მუშა ხალხში. და აი ბ-ნი ფ. გოგიჩაიშვილი სისტემატიურათ ადგას მის მიერ არჩეულ გზას: იგი ვითომც მუშა ხალხის მოსარჩლე გამოდის, ვითომც კლასობრივ ბრძოლას ალიარებს, და ნამდვილათ კი ამ ბრძოლას აბნელებს, ბურუსში ახვევს. რა საკითხსაც შეეხება იგი, მუდამ ნაციონალურ-ბურჟუაზიული თვალთახედვის წერტილიდან უნდა შეხედოს მას. იგი გვიქადაგებს, რომ დღე-, როცა საზოგადოება დაყოფილია მოწინააღმდეგე კლასებათ, შეიძლება, რომ ერთ და იგივე დროს ყველა ამ კლასების ინტერესებს ემსახუროს ერთნაირათ. ასეთი სამსახური რომ ბურჟუაზიის სამსახურია, რომ ეს ბურჟუაზიის მოსარჩლეობას ნიშნავს და მაშასადამე მუშა ხალხის ღალატს, ეს მას როდი ჯერა. როცა მას ამის შეურყეველ დასამტკიცებელ საბუთზე გაუთითებთ, იგი თამამათ გაიძახის, რომ ეს სასაცილოა. სიცილის ღირსი და მეტი არაფერიო. მეორე შემთხვევაში იგი „კავკასიის კალენდარს“ იმოწმებს და ამ ყოველად გამოუდეგარ წყაროის ცნობებს „ადგილობრივ ცხოვრებაზე დაკვირვების“ უწოდებს (იხ. „ივერია“ № 140). ვისთვისაც მეცნიერება და მეცნიერული გამოკვლევა ასე ადვილათ ხელ-წამოსაკრავი არ არის, ვინც ცოტაოდნათ მაინც ცემს პატივს მეცნიერებას, იმას უეჭველათ გააცნებს ეს გარემოება: როგორ მოხდა, რომ პოლიტიკური ეკონომიის დოქტორი ასეთი ნდობით ეკიდება „კავკასიის კალენდრის“ ცნობებს და თავის დასკვნებს იმაზე ამყარებს? თავისი მასწავლებლის მაინც როგორ არ რცხვენია, როცა პოლიციის მოხელეების მიერ შეთხზულ ცნობებს იგი „ადგილობრივ ცხოვრებაზე დაკვირვების“ უწოდებსო? მაგრამ ნუ გგონიათ, რომ ბ-ნი ფ. გოგიჩაიშვილი მართლაც ისეთი უვიცი იყოს, რომ მას არ გაეგებოდეს „კავკასიის კალენდრის“ სტატისტიკური ცნობების ფასი. საქმეც ის არის, რომ ეს მას კარგათ გაეგება, მაგრამ მიუხედავათ ამისა იგი მაინც ამ ცნობებს იმოწმებს თავის მოწინააღმდეგეთა დასამარცხებლათ. იგი არაფერს არ ზოგავს, ოღონდ კი ქართველ მემამულეების, ქართველ კაპიტალისტების და ქართველ მოხელეების გული მოიგოს. გაიხსენეთ მისი წერილები: „ერთი გამწესების გამო („ივერია“ № 9), „ყალბი დასკვნა“ (№ 151) კახეთის მევენახეების საზოგადოებას იცავს მუშების წინააღმდეგ. და თქვენ დარწმუნდებით, თუ ვის ემსახურება იგი და ვისი მონა-მორჩილია, და იმავე დროს კი ბ-ნი გოგიჩაიშვილი გაიძახის, რომ იგი მშრომელი ხალხის, მუშების ინტერესების დამცველია, რომ იგი მუდამ იმათ ეკომაგება და ესარჩლება. აქედან აშკარა უნდა იყოს, თუ რათ მიუღია თავის თავზე ბ-ნ გოგიჩაიშვილს ყოველივე ის, რასაც ჩვენ მატრაკვეცებზე ვწერდით. Не моя тутъ вина... თუმც ბ-ნი ფ. გოგიჩაიშვილი ამ განმარტებით არ დაკმაყოფილდება, იმ შემთხვევაში ჩვენ იძულებული შევიქნებით მის „მოღვაწეობას“ უფრო დაწვრილებით შევეხოთ.

ფ. მახარაძე.

სომხების იდეოლოგები.

(წერილი რედაქციის მიმართ).

ახალ შობილ მყვირალა გაზეთ „არშალუისის“ ფურცლებზე ამოვიკითხე, რომ ზოგიერთი გაზეთები და, სხვათა შორის, „მოგზაური“ სომეხ-მაჰმადიანთა ელეტაში ბრალსა სდებენ სომეხთა ინტელიგენციის იდეოლოგებს. „არშალუისს“, რასაკვირველია, არ მოსწონს „მოგზაურის“ ასეთი აზრი და თავისებურათ კიცხავს ამ „უცხო“ გაზეთს.

„მოგზაური“ ბრალსა სდებს სომეხთა ბურჟუაზიულ იდეოლოგებს; სტუქსავს მას და ამბობს, რომ ამათ სამაგიეროს სომხის პროლეტარიატის შეუგნებლობით და უფსკრულისკენ გააქანეს იგი.

ეს სრული ჭეშმარიტებაა და მე ორიოდე ხელს ვაწერ ასეთ შეხედულობაზე.

მე ძალიან დაახლოვებით ვიცნობ ზემოხსენებულ იდეოლოგთა პოზიციას, ვიცი თუ რამდენი უბედურება დაატეხეს მათ თავზე სომხის პროლეტარიატს და ამიტომ არ შემიძლია ზიზღით არ მოვიხსენიო იგინი...

აქ არ შევეხები იმას, თუ რა როლს თამაშობდენ ელეტის საქმეში თათართა ინტელიგენცია და „ბეგები“; ვიტყვი მხოლოთ რომ ესენი არა თუ უფსკრულისკენ მიაქანებდენ თავის „თანამოძმეებს“, უშლიდენ კიდეც ამ უფსკრულიდან თავის დახწევას... მიუხედავათ ამისა მე მწამს, რომ თათრებს შორის მოინახებიან ისეთი პატიოსანი და შეგნებული ჟურნალისტები, რომელნიც სულით და გულით ცდილობდენ და კვლავ კიდეც უფრო თავდავიწყებით ეცდებიან წამოაყენონ თათრების ბნელი და შეუგნებელი მასა და შეგნება შეიტანონ მასში.

მე, რასაკვირველია, აზრათაც არ მომდის სომეხთა იდეოლოგებს მათ „იდეებზე“ უარის თქმა მოვთხოვო, რადგან ვიცი რომ მათ თავიანთი „განათლება“ ბურჟუაზიის ნასუფრალის წყალობით მიუღიათ და ამისთვის ვალდებულნი არიან მონა-მორჩილათ დაიცონ თავიანთ კეთილისმყოფელთა ინტერესები.

ჩვენთვის აშკარაა, რომ თავის „წმინდა“ მიზნების განსახორციელებლათ იგინი არავითარ საშვალებას არ ზოგავენ და შოვინისტურ და ვიწრო ნაციონალისტურ აზრების გავრცელებით მათ სურთ ზავი ჩამოაგდონ ორ შეურიგებელ მტერს —ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის.

თუმცა ასეთი „ლოღიკა“ უტაქტო ბურჟუაზიისა ნამდვილ ლოღიკასთან შორს არის, მაგრამ მას გასავალი აქვს შეუგნებელ ხალხში: ბურჟუაზიის იდეოლგი მიდის ასეთ მასაში, აღგზნებულათ ისვრის მაღალფარდოვან, ამამღელვარებელ სიტყვებს, რომელნიც შეუგნებელთა ეროვნულ გრძნობაზე მოქმედობენ. თუ ვინმე ეკონომიურ მდგომარეობაზე და შეუგნებლობაზე ელაპარაკება პროლეტარიატს, მაშინვე გამოხტებიან რამოდენიმე იდეოლოგები, რომელნიც თავისთავს მარქსიტებს უწოდებენ და პირზე ქაფმომდგარი იწყებენ ყვირილს სომეხთა ერის „ისტორიულ“ წარსულის შესახებ.

ბბ. იდეოლოგებო! ნუ თუ გგონიათ, რომ თქვენი ხრიკები ქვეყანას თვალს აუხვევენ? მოიგონეთ 7 აგვისტო ვანქის სობორში. იქ მომხდარ ამბავს რომ თათრებს ან სხვა ბნელ ხალხს შორის ქონდა ადგილი, ხომ საშანელი სისხლის ღვრა აუცილებელი იყო. მხოლოთ ხალხის შეგნებამ აგვაცდინა ასეთი უბედურება....

ნუ თუ თქვენ, მარქსიზმის და ლიბერალიზმის ნიღაბით ახლაც ფიქრობთ თქვენი სახე დაუმალოთ თქვენს მეზობლებს? როდესაც გაიძახით თავმოწონეთ, „სომხები განათლებული და კულტურული ხალხიაო“, თქვენ გყავთ სახეში „კლუბის პუბლიკა“, ერის ისეთი ნაწილი, რომელიც ყვლეფს და ჩაგრავს ხალხს.

მკითხველო, ვთქვათ თქვენ გაინტერესებს სომხების ყოფა-ცხოვრება და გინდათ სთქვათ რამე ან დასწეროთ ამ ხალხის მდგომარეობაზე ან კლასობრივ წინააღმდეგობაზე. ვაი თქვენი ბრალი, თუ კრინტი დასძარით შესახებ სომეხთა

ბურჟუაზიულ იდეოლოგებისა; მუდამ ბურჟუაზიის თავგამოდებული დამცველი სომხური პრესა გააფთრებული დაგეცემათ თავზე და გაგჭყლეტს იცოდეთ. ახლა ჩვენთვის აშკარაა, თუ რა ძნელია სომხის ხალხის სიბნელიდან გამოყვანა....

ხეჩო.

თფილისი.

ბაქოს ამბები.

მთელი ჩვენი ცხოვრება თითქოს საშინელებათა დაუშრეტელ წყაროთ გადაიქცა; ჩვენს მოგონებაში მთელი „პანორამაა„ იმ საშინელ ამბავთა, რომელიც განიცადა ჩვენმა ქვეყანამ: ჩვენ თვალწინ გვიდგა გომელისა და კიშინევის აწიოკება, პეტერბურგელ მუშების უდანაშაულო სისხლი, კურსკისა და პსკოვის ბავშვები და სხვ. და სხვ., მაგრამ ყველაფერი ეს ბაქოელ ამბებთან შედარებით კრთება... მკითხველმა უკვე იცის, თუ რა საშინელი ამბავი დატრიალდა ბაქოსა და მის მიდამოებში აგვისტოს 20—26 რიცხვებში. მაგრამ საშინელი გავლილი უბედურება და ყოველ წუთში სიკვდილის მოლოდინი კი არ ყოფილა თურმე, საშინელია ის შედეგი, რომელიც ამ ამბებს მოყვა. ორი-სამი კვირის წინ „ნავთის სამეფოში“ ცხოვრება სდუღდა. სამუშაო დაზგასა და მიწი: საბურღავ მანქანას დაეკავშირებია რამდენიმე ათი ათასი მუშა რუსსა და ებრაელს, პოლონელს და გერმანელს, ქართველსა და ლეკს, სომეხსა და თათარ მუშას — ერთ ბედის ქვეშ მყოფთ—ერთნაირი მდგომარეობა აკავშირებდა და ერთ საერთო მიზანს უხატავდა... ამათი შრომით დამზადებული საქონლით აქ, ბაქოში, სავსე იყო მწარმოებელთა თვალუწვდენელი ბეღლები, იქ კი, ბაქოს გარეთ, იგივე საქონელი მაზუთის, ნავთის და ბენზინის სახით მთელ მსოფლიო ბაზარს მოდებოდა. რამდენიმე ასი ათასი გარეშე წარმოებაში მომუშავე ხალხის ილბალი დამოკიდებული იყო ამ წარმოებაზე, ათასობით ეხვია ხალხი საქონლის ბაზარზე გადატანას, ათი ათასი მუშა დაქსაქსული იყო ამ ნაწარმოების საღებ-მიცემო საქმეში... დღეს კი შეწყდა მოძრავ ბაქოს მაჯის-ცემა და მასთან ერთათ ბევრი გარეშე წარმოებაც საფრთხეში ჩავარდა. შეუბრალებელმა ცეცხლმა შთანთქა მდიდრების მილიონები და მასთან ერთათ მუდმივი შრომით თავის მრჩენელი რამდენიმე ათი და ასი ათასი მუშა ულუკმა-პუროთ კარში გამოაგდო. ჯერ აქ, ბაქოში, 30—40 ათასი კაცი დარჩა უადგილოთ; ნავთი არამცთუ საშინლათ გაძვირდა, გასატანიც აღარ არის. ამიტომ მდ. ვოლგაზე მოძრაობა სადაც არის უნდა შეჩერდეს, ბევრი რკინის-გზა კრიტიკულ მდგომარეობაშია, აუარებელი ქარხნები, რომელნიც მარტო მაზუთის საშვალებით მოძრაობდენ, ჩერდება. ამნაირათ ბაქოელ მუშებთან ერთათ, რამდენიმე ასი ათას გარეშე მყოფ მუშას გამოეცალა სამუშევარი და ვინ იცის რამდენს იმათგანს შეიძლება სიმშილით სიკვდილი მოელოდეს. ხალხი იძულებულია საქარხნო ქალაქებიდან სოფელს მიმართოს, გაღატაკებულ და დამშეულ სოფელს!.. „წახვალ ინანებ,—არ წახვალ მაინც ინანებო“—სწორეთ ეს ეთქმის ბაქოელ მუშას. მაგრამ შეუძლია კი იმას „არ წასვლა“? ნუთუ შესაძლებელია, რომ ბაქოელ მუშამ იმავე პირობებში, ე. ი. თუ ვერ დარწმუნდა, რომ მისი სიცოცხლე უზრუნველ-ყოფილი იქნება, შეუდგეს მუშაობას? სწორეთ ამ საკითხის გადაწყვეტაზე არის დამოკიდებული ცხოვრების წინანდებურათ აღორძინება და ასი ათასი მუშის სხვადასხვა წარმოებაში დაკავება. საუბედუროთ, მუშაობის დაწყება შეუძლებელია, შეუძლებელია დღევანდელ პირობებში მუშაობა, როცა არ იცი რა-წამში თავს დაგეცემიან და სიცოცხლეს გამოგასალმებენ. მაგრამ ეს იმას კი არა ნიშნავს, რომ საზოგადოთ შეუძლებელი იყოს ამ საშინელ ამბების შეჩერება და ცხოვრების ჩვეულებრივ კალაპოტში ჩაყენება, სანამ თათარი და სომეხი ერთი-მეორეს არ ამოჟლეტს. საჭიროა მხოლოთ ნამდვილი საშვალებათა ხმარება, საჭიროა საქმეში იმის ჩარევა, ვინც უფრო მოაგვარებს ამ საქმეს.

თებერვილის შემდეგ ყველასათვის აშკარა იყო, რომ «ნავთის სამეფოს» საფრთხე შიელოდა, განსაკუთრებით როცა ასეთივე ამბები დატრიალდა ნახიჩევანსა, ერევანსა და შუშაში. უდანაშაულოთ დაღვრილმა სისხლმა შურისძიება დაბადა ორ ხალხთა შორის და ორი მეზობელი ერთი-მეორეს გადაამტერა. საჭირო იყო განუწყვეტელი ქადაგება ძმობასა და ერთობაზე, ახსნა და გათვალისწინება იმ შედეგისა, რაც ამ შურისძიებას მოყვებოდა, საჭირო აყო გულ-ახდილ და ხალხთან დაახლოვებულ მოღვაწეების საქმეში ჩარევა, საჭირო იყო თავისუფალი სიტყვა... საუბედუროთ ჩვენ არაფერი ამისგვარი არ დაგვინახავს. ჩვენ დავინახეთ მხოლოთ საომარ დროის წესები; დავინახეთ, რომ საზოგადო კრებებისა და სიტყვის თავისუფლების მაგიერ, რომლის საშვალებითაც მხოლოთ შეიძლებოდა, ერთი მხრით გამორკვევა ამ ეაზრო მტრობას მიზეზებისა და მეორე მხრით, გადამტერებულთა დაახლოვება, მაგრამ ამის მაგივრათ ისედაც შებორკილ მოქალაქეს საზოგადოებრივ მოქმედების ყოველივე საშუალება შეუზღუდეს; ვხედავდით, რომ გადამტერებულ ხალხთა დამშვიდების მაგიერ ნავთის მწარმოებელთა წყალობით მთელ ბაქოს მიდამოებში ისეთი ელემენტი იდგამდა ფეხს, რომელიც არამცთუ უმთავრეს როლს ითამაშებდა ჟლეტის დროს, არამედ ყოველივე ღონეს იღონებდა, რომ ჟლეტა გამოეწვია *). ამიტომ დღეს თუ „ნავთის სამეფო“ აოხრებულია, ეს გასაკვირი არ უნდა იყოს. იმ პირთ, რომელთაც ხალხის «აბეკუნობა“ აქვთ მითვისებული, სრულიათ ვერ წაიყვანეს საქმე საზოგადოებისთვის სასარგებლოთ. დღეს თვითონ ნავთის მწარმოებლები უტიფრათ აღიარებენ თავის განცხადებაში, რომელიც იმათ მინისტრს წარუდგინეს, რომ ის „მილიცია“, რომელიც «მშვიდობის» დასაცავათ ყავდათ მათ დაქირავებული, აშკარა ყაჩაღებიდან შედგებოდა და ამ უბედურ დღეებში უმთავრესი ამაოხრებელის როლიც იმათ ეკისრესო!. („Сынъ Отеч.“ № 167).

საგულისხმო ფაქტია ასეთი თავისი თავის გამართლება, მკითხველო, განა?

ამის შემდეგ, განსაკუთრებით დღეს, როცა თებერვლის დღეებზე უფრო ძნელი საკითხი წამოაყენა აგვისტოს შავმა დღეებმა, ვინაიდან ახლა არა მარტო მოძმეთა ურთიერთი ჟლეტა არის მხედველობაში მისაღები, არამედ გარდა ამისა ასი ათასი მშრომელ ხალხის «ყოფნა არ ყოფნის» საკითხი, აშკარა უნდა იყოს, რომ თუ მთელმა საზოგადოებამ არ მიიღო მონაწილეობა ამ საკითხის გადაწვეტაში, საშინელ ამბებს ბოლო არ მოეღება. როგორც ყოველთვის, ისე ახლაც, ამ საშინელ ამბების დროს ყველაზე უფრო მუშა ხალხს დაატყდა თავზე უბედურება. ამიტომ ახლა მაინც უნდა მიენიჭოს მას უფლება, რომ როცა კაპიტალისტები იძიებენ საშვალებას საწარმოო იარაღების უზრუნველ საყოფელათ, მუშა ხალხმაც მათთან ერთათ წამოაყენოს ის მოთხოვნილებანი, რომელნიც უზრუნველყოფენ მუშის მდგომარეობას; უამისოთ საქმე ცალმხრივათ იქნება გადაწყვეტილი და უბედურების

*) ჩვენ ვამბობთ იმ „შავ რაზმების“ შესახებ, რომელიც „მილიციის“ სახელით გაბატონეს ნავთის „პრომისლოვში“.

განმეორების შემდეგ (ეს კი მოსალოდნელია) სიტყვებზე უხვი მწარმოებლები კვლავ «იუდას» ცრემლებს დააფრქვევენ სხვადასხვა განცხადებებში, მაგრამ ეს საქმეს აღარ მოეხმარება. არ მოეხმარება ისე, როგორც ზევით მოყვანილი ნავთის-მწარმოებელთა «აღსარება» არ მოხმარებია საქმეს: საქმის წარმოება დღესაც მარტო იმათ ხელშია. მწარე გაკვეთილები და ის მოსაზრებანი, რომელიც დღესვე წამოყენებულია ად მინისტრაციისა და მრეწველთა ბანაკში, ნებას გვაძლევს ვთქვათ, რომ მშრომელი ხალხი კვლას მივიწყებული დარჩება. რას ფიქრობენ ისინი?—უპირველესათ ყოვლისა მწარმოებლები თხოულობენ მთავრობისაგან ფულით დახმარებას, მერე—ბაქოსა და მის მიდამოების ჯარით ავსებას და შემდეგ გამოთქვამენ სხვადასხვა სურვილებს, რომელსაც, დარწმუნებული უნდა ვიყოთ, თუ ორი პირველი მოთხოვნილება კი დაუკმაყოფილეს, ხელს გაუშვებენ. ჯარი და ჯარი! ეს ისეთი საკითხია, რომელშიაც მუდამ შეთანხმდებიან მრეწველები და «ბიუროკრატია», და მართლაც ჯარებით უკვე აივსო ბაქო. კრედიტსაც უთუოთ დიდს გაუხსნიან მწარმოებლებს, მაგრამ ნუთუ ამით რამე ეშველება მშრომელ ხალხის მდგომარეობას?..

ამნაირათ ბაქოს პროლეტარიატი აშკარათ ხედავს, რომ, როგორც მოსალოდნელი იყო, მაზე არავინ ზრუნავს, თუ თვითონ მან არ იზრუნა. დღეს ის დარწმუნებულია, რომ მშრომელი ხალხი შეადგენს ძალას და იმის შესახებ საკითხის გადაფუჩეჩება არც ისე ადვილია, როგორც ზოგიერთს ჯერ კიდევ ჯერათ. ამიტომ ბაქოელ მუშებმა გადაწყვიტეს: მანამ არ შეუდგენ ნავთის პრომისლების მუშაობას, სანამ არ დააკმაყოფილებენ იმათ მიერ წამოყენებულ პირობებს. აი, ეს პირობები(ა: 1) მოსპობილ იქმნას საომარ დროის წესები და შეიარაღებულ იქმნან თვითონ მუშები მრეწველთა ხარჯით; 2) ქარხნებისა და „პრომისლების“ გარეთ გაშენდეს სოფლები, სადაც მარტო მუშები იცხოვრებენ. ეს სოფლები ტრამვაით უმდა უერთდებოდეს სამუშაო ადგილებს. მრეწველებმა თავისი ხარჯით უნდა მოაწყონ აქ უფასო სკოლები, საავთმყოფოები, წიგნსაცავ-სამკითხველოები და სხვ.; 3)ამ სოფლებში უნდა იქნეს შემოღებული მუშათა სრული თვით-მართველობა; 4) დაარსდეს კაპიტალისტთა და მუშათაგან შემდგარი ბიურო, რომელიც მიაწვდის სამუშაოს ყველა უსაქმოთ დარჩენილ მუშას. ბიუროს შესანახი ხარჯი—ნავთის მწარმოებლებმა უნდა იკისრონ; 5) დაარსება მომხმარებელ საზოგადოებათა, რომელთა ხელმძღვანელი მხოლოთ მუშები იქნებიან; 6) იმ მუშებს, რომელთაც რომელიმე ფირმა დაითხოვს, სამი თვის ქირა უნდა მიეცეს; 7) სანამ მუშაობა დაიწყებოდეს სრული ქირა უნდა ეძლიოს იმ მუშებს, რომელთაც მწარმოებლები არ დაითხოვენ, 8) უნდა მიეცეს მუშებს დამწვარ ქონების ფასი; 9) მიეცეს მუშებს უფლება გამოსცენ თავისი გაზეთი რუსულ, ქაუთულ და თათრულ ენაზე. ნავთის მწარმოებლებმა შემწეობა უნდა აღმოუჩინონ გაზეთის გამოცემაში, გაზეთის ხელმძღვანელობა კი მარტო მუშებს ეკუთვნის; 10) ქარხნებსა და მაღნებში მომუშავეთ მიეცეს კრების თავისუფლება და ამ კრებაზე თავისუფალ ლაპარაკის ნება; 11) ზოგიერთ უოჩაღების გადასახლება; 12) ამორჩეულ იქმნას მუშების წარმომადგენლები, რომელნიც უნდა დაესწრონ მწარმოებელთა იმ საზოგადო კრებას, რომელიც სექტემბრის დამლევ რიცხვებში პეტერბურგში უნდა მოხთეს, და რომელთაც უნდა წარედგინონ ეს მოთხოვნილებანი.

აი ის პირობები, რომელთა დაკმაყოფილება, მხოლოთ როგორც წინათ ვთქვით, შესაძლებელათ გახდის მუშების აზრით ნავთის წარმოებაში მუშაობის დაწყებას. ჩვენ არ ვიცით, რა როლს ითამაშებენ ბაქოელ მუშების დეპუტატები იმ კრებაზე, რომელზედაც ბ. ფინანსთა მინისტრი ირთავმჯდომარებს. შეიძლება ამ კრებას იგივე შედეგი მოყვეს მუშების მხრივ, რაც შიდლოვსკის ცნობილ კომისიას მოყვა, ხოლო ეს კი ცხადია, რომ მხოლოთ მუშებს შეუძლიათ ნათელი მოფინონ იმ საკითხს, რომლითაც დღეს მთელი ქვეყნიერობა დაინტერესებულია... მაგრამ, საუბედუროთ, არც ამ მოთხოვილებათა დაკმაყოფილება ჩააყენებს აბობოქრებულ ბაქოელ საქმეებს ნორმალურ კალაპოტში. ნამდვილი მალამო, რომელიც განკურნავს, როგორც ნავთის წარმოებას, ისე ჩვენ მოძმეთა გამწვავებულ ურთიერთობას, უნდა ვეძიოთ იმ საზოგადო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაში, რომელსაც დღეს მედგრათ თხოულობს ყოველი შეგნებული მამულიშვილი. ბაქოელ მუშებს არც ეს მოთხოვნილებანი დავიწყებიათ...

კ.—კი.

ბაქო.

თფილისის ტრამვაი და მისი მოსამსახურეები.

წერილი რედაქციის მიმართ.

ბ. რედაქტორო! გთხოვთ ადგილი დაუთმოთ თქვენ გაზეთში შემდეგ წერილს:

ყველას ეხსომება, თუ რა წვალება და ვაი-ვაგლახი გამოვიარეთ თფილისის ტრამვაის მოსამსახურეებმა, მაგრამ კი ნუ იფიქრებთ, რომ ჩვენ საწადელს მივახწიეთ. უკანასკნელი გაფიცვის შემდეგ, რომელიც ამ რამდენიმე თვის წინეთ მოხდა და რომელმაც გასტანა სამ კვირეს, ტრამვაის გამგეობამ აღუთქვა ჩვენი მოთხოვნების დაკმაყოფილება. ჩვენც რამდენიმეთ იმედი მოგვეცა. მაგრამ მოტყუებული დავრჩით. ჩვენ ყველაფრის იმედი მაშინ დავკარგეთ, როცა ოცდახუთ წარმომადგენლებში მხოლოთ ორი დაგვრჩა და ისიც კანტროლიორები. საკვირველია, სხვები სად გაქრენ. ახლა ჩვენ რა იმედი უნდა გვქონდეს ამ ორი წარმომადგენლის, რომლებიც ტრამვაის მოსამსახურეებს არც კი იცნობენ, და რომლებიც საჯაროთ გაიძახიან: მეისრეები და სტოროჟები მოსამსახურეები არ არიან და ამიტომ იმათ ტანისამოსი არ ეკუთვნის ტრამვაის საზოგადოებიდან. თანახმათ ტრამვაის და მოსამსახურეების შეთანხმების მესამე მუხლისა, რომელზედაც ორ ორ ჩვენ წარმომადგენლებსაც უწერიათ ხელი, ტანისამოსი ყველა მოსამსახურეს უნდა მიეცეს. არ შემიძლია აქვე არ აღვნიშნო ის გარემოება, რომ ხსენებული წარმომადგენლები ყველა მოსამსახურეებს ეუბნებიან, რომ ჩვენი მადლიერი უნდა იყოთ, ვინაიდან ჯამაგირი ჩვენი მეცადინეობით მოგიმატესო და სხვ. მიკვირს როგორ არ მიმხვდარან, რომ მუშას თითონ შეუძლია თავისი მდგომარეობის გაუმჯობესება და თავისი თავის განთავისუფლება.

გარდა ტანისამოსისა, ტრამვაის საზოგადოებას დღემდის არ დაუკმაყოფილებია ზევით დასახელებული შეთანხმების შემდეგი მუხლები: 9, სადაც ნათქვამია, რომ საზოგადოება ერთ ხნობით იღებს ბიბლიოთეკასათვის წიგნების შესაძენათ 300 მან., და წლიურათ 150 მან., და აგრეთვე აძლევს ოთახს გათბობით და განათებით; 10, რომელიც ამბობს მოსამსახურეებისათვის ურთი-ერთ დახმარების კასსის დაარსების შესახებ, რისთვისაც საზოგადოება ერთხნობით იღებს 1000 მან., 11, რომელიც ამბობს ინსტრუქციის შემუშავების შესახებ., 14, რომელიც ამბობს სამუშაო დროს რვა საათამდის ჩამოყვანის შესახებ; და 16, რომლის ძალით საზოგადოებას გან-

საზღვრულ ადგილებში უნდა აეშენებია ფეხისადგილები და ტანისამოსის შესანახი ოთახები.

საინტერესოა ვიცოდეთ, თუ რას ფიქრობენ ამის შესახებ ან თვით საზოგადოების გამგეობა ან და ჩვენი წარმომადგენლები.

კ. იმ—შვილი.

ფარმაცევტების საზოგადო კრება.

11 სექტემბერს, პეტერბურგის გრაფონაჩალნიკის ნებართვით, ტენიშევის სასწავლებლის დარბაზში მოხდა კრება გაფიცულ ფარმაცევტებისა. უმეტესობის სურვილისამებრ თავმჯდომარეთ იქმნა არჩეული ვ. ნ. არხანგელოვი. წამოყენებულ იყო ორი კითხვა: 1) ფარმაცევტების მიერ წარდგენილ მოთხოვნების შესახებ მეაფთიაქეებისადმი და 2) უკანასკნელთა დასანიშნავ კომისიაზე. თავმჯდომარის ამხანაგმა დ. ა. ლეონტიევმა შემოიტანა წინადადება პეტერბურგის სატახტო სამკურნალო სამმართველოს ქიმიკოს ფარმაცევტის ბ. ლემმერგირტისა, გლაზოვის აფთიაქის პატრონისა, რომ ამორჩეულ იქმნას კომისია 10 მოსამსახურეთაგან და 10 მეაფთიაქეთა დელეგატთაგან, რომელიც უნდა წარუდგეს გრაფონაჩალნიკს და მოილაპარაკოს კონფლიკტის მშვიდობიანათ დაბოლოებაზე. თავმჯდომარე ამ შეერთებული კომისიისა, ბ. ლემმერგირტის წინადადებით, უნდა დანიშნულ იქმნეს გრაფონაჩალნიკის მიერ.

მერე დაიწყეს ბაასი რიგით დასმულ კითხვებზე.

თავმჯდომარემ აცნობა კრებას, რომ კავშირის ბიუროსაგან შედგენილი მოთხოვნები უკვე გარჩეულ და მიღებულ იქმნა დიდი უმეტესობით როგორც რაიონების, ისე დელეგატების კრებებზე და ურჩევს არ დაკმაყოფილდენ ამით და არ შედგენ, რადგან 65 გაფიცულ აფთიაქებიდან ოცში უკვე მიღებულია მოთხოვნები ცოტა რამ შეცვლით. კრებამ ერთხმათ დაადგინა თავმჯდომარის წინადადებით არაფერი არ დაუთმონ პირველ მოთხოვნებში.

აფთექარის ლემერგირტის წინადადება ათი დელეგატის ამორჩევაზე ყველა ორატორემბა დაიწუნეს. ერთხმათ გადაწყვიტეს ამ საკითხის გამორიცხვა რიგისაგან.

მერე გაარჩიეს კითხვა ფარმაცევტების წარმომადგენლების მონაწილეობაზე აფთექარებთან ერთათ. ორატორებმა ილაპარაკეს წინააღმდეგ მონაწილეობის მიღებისა კომისიაში, ნახეს რა შეეძლებლათ ამნაირ კომისიაში აფთექარებთან ერთათ მუშაობა ახლანდელ პირობებში. ბევრი ორატორების აზრით დარჩენილა მხოლოდ ერთი საშუალება კავშირის მიერ აღნიშნულ მოთხოვნების მისაღწევათ — მუშაობის აღკვეთის გაგრძელება, მით უმეტეს, რომ წარდგენილი მოთხოვნები მინიმალურია (რამდენიც კი შეიძლება მცირე).

ლ. მ. კლიაჩკომ მოიყვანა ისტორიული ცნობა ფარმაცევტების მოძრაობაზე.

როგორც 1895, ისე 1897 წლებში, როდესაც მოსამსახურე ფარმაცევტები წერილით მიიქცენ მეეაფთიაქეებისადმი და თხოვეს თავის ცხოვრების გაუმჯობესებაზე, მათ მიიღეს უარი. ბოლოს, 1899 წელში მოსკოვში კრების დროს მეაფთიაქეები დაპირდენ, რომ მოსამსახურეები დღე-ღამე ორჯერ იცვლებოდენ. მაგრამ, როდესაც მოსამსახურეებმა მოაგონეს ამ დაპირების სისრულეში მოყვანა, მეაფთიაქეებმა ამაზე მოითხოვეს „ბუნტოვშჩიკების“ დათხოვნა და გადასახლება. ეს ისტორიული ფაქტები, ორატორის აზრით აჩვენებენ, რომ მოსამსახურეთაგან მონაწილეობის მიღება კომისიაში არაა შესაძლებელი. შემდეგ ორატორმა დაასურათა, თუ რამდენათ მძიმეა ცხოვრება აფთიაქში. იმას ეღანდება ამხანაგები, რომლებიც დაიხოცენ მხოლოდ ამფთიაქის ცხოვრების არასანორმალური პირობების გამო. ასე, მოკვდა ჭერნიშევის აფთიაქში ამხანაგი, როცა აბებს ამზადებდა—წასკდა პირიდამ სისხლი და იქვე სამუშაო სტოლთან დალია სული. დიდათ სამწუხაროთ ამხანაგს მთელ თავის სიცოცხლეში მხოლოთ ერთხელ შეხვდა ნახევარი დღით მუშაობა და ისიც სიკვდილის გამო. მიცვალებულის გვამი გაიტანეს პატარა ჭუჭუიან ოთახში. აფტიაქის პატრონმა არა ქნა, რომ მიცვალებული გამოეტანათ ერთად ერთი სუფთა კარებით, რომლითაც შედიოდენ აფთიაქში, და რადგან უკანა კარები ძრიელ ვიწრო იყო, იძულებული იყვენ კუბო ფანჯარიდან გამოეტათ. ორატორმა სიტყვა დაბოლოვა იმით, რომ ყველას ახსოვდეს აფთექრების მიპყრობა და არავითარ კომისიებში იმათთან მონაწილეობა არ მიიღონო.

რამდენიმე ორატორები მონაწილების მიღების მომხრე იყვენ. ბ. შილნობერგსკი აცხადებს, მეაფთიაქეებმა იციან, რომ არის კავშირის ბიურო, რომელთანაც იმათ შეუძლიათ თავისი რწმენებულის მეოხებით მოლაპარაკება, დ. გამოთქვავს თავის აზრს კომისიის წინააღმდეგ.

ზოგიერთი ორატორები არიან კომისიაში მონაწილეობის მომხრე, მხოლოდ იმ პირობით, რომ გაგრძელდეს დაწყებული გაფიცვა სანამ კომისია შეთანხმდებოდეს.

კენჭის ყრის შემდეგ აღმოჩნდა, რომ კომისიაში მონაწილეობის მომხრე 20 კაცია, წინააღმდეგ 386, 12 კი არ ჩაუგდიათ კენჭი.

კრებაზე უმეტესობის ხმით გადაწყდა, გადადებულ იქნას მუშაობის აკვეთის დროისთვის 10 პროცენტი პროვიზორების და თანაშემწეების ჯამაგირიდან და 5 პროცენტი შაგირდების ჯამაგირებიდან გაპირებულებისათვის ხელის გასამართავათ.

დაასრულა რა აღნიშნულ კითხვებზე ბჭობა, კრებამ მოუსმინა პროფესორ პელის აფთიაქის წარმომადგენელს, რომელმაც თავის გასამართლებლათ იმ საყვედურის გამო, რომ ამ აფთიაქის მოსამსახურეებმა არ დაუჭირეს მხარი კავშირს, განაცხადა: ორი მორიგეობით მუშაობის გარდა პელის აფთიაქში შრომის პირობები უკეთესაცაა იმაზე, რასაც კავშირი თხოულობს. პელის წინადადებაზე, რომ მუშაობა მორიგეობით შემოელოთ წინანდელ ჯამაგირის შენახვით, მაგრამ უსაჭუქროთ, შტატმა არ მიიღო მორიგეობით მუშაობა და დათანხმდა ძველ პირობებში მუშაობაზე. კრებამ ამ განცხადებაზე წინააღმდეგობა განაცხადა. თავმჯდომარემ კრების სახელით თხოვა დელეგატს გადაეცა შტატისათვის, რომ 14 საათ. შრომა არანორმალურია და ეწინააღმდეგება ხალხის ტანის სიმთელეს. კრებამ მოითხოვა გადაეცეს დელეგატის პირით შტატს პელის აფთიაქისას დაჯყოვნებლივ, რომ იმან წარადგინოს კავშირის გამომუშავებული მოთხოვნები.

ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა კრებაზე ფარმაცევტის გრეისის მიერ მოტანილმა შენანებამ, რომელმაც გააცხადა, რომ ის შეეცდა რა ბერგოლცის აფთიაქში მუშაობის ამკვეთების ნაგიერათ, ის მოიქცა დაუფიქრებლათ, რის გამო ის ითხოვს კრების წინაშე პატიებას და ბოიკოტის ახსნას. ამასთან თხოულობს, რომ ის ფულები, რაც იმან მუშაობის აკვეთის დროს აიღო, მიიღონ კავშირის სასარგებლოთ. ამხანაგის გრეისის ამისთანა გულწრფელ შენანებას კრება მიეგება დიდი ტაშის ყვრით. ის მიღებულ იქმნა უკანვე ამხანაგების წრეში.

კრებამ ერთხმათ გამოუცხადა თავისი მადლობა სასწავლებლის დირექტორს ა. ი. ოსტროგორსკის, რომ ნება მიცა უფასოთ ესარგებლათ სასწავლებლის შენობით.

მთელი რუსეთის ფარმაცევტების კავშირის ხარკოვის განყოფილებიდან მიღებულ იქნა ცნობა, რომ ისინი, თუ საჭიროა, სიამოვნებით შეეწევიან ფულით პეტერბურგის ფარმაცევტებს. ამ განცხადებას თანაგრძნობით მიეგებიან.

(„ს. ოტ.“).

ქართული წარმოდგენა

სახაზინო თეატრში.

ქართული დრამატიული საზოგადოების დასის მიერ

წარმოდგენილი იქნება:

ორშაბათს, 26 ენკენისთვეს,

სეზონის გასახსნელად

თავ. ალექსანდრე სუმბათაშვილის ცნობილი პიესა

I.

ღალატი

ისტ. დრამა-ლეგენდა 5 მოქმ. თ. ა. სუმბათაშვილისა. გრ. ყიფშიძის თარგმანი.

ზეინაბის როლს შეასრულებს ნ. ჩხეიძე.

მონაწილეობას იღებენ: ქბ-ნი ნ. გაბუნია-ცაგარლისა, დ. ივანიძე, ა. კარგარეთელი, ელ. ლეჟავა, ნ. ჩხეიძე. ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, ვ. გუნია, შ. დადიანი, ს. სვიმონიძე, ზ. საფაროვი, კ. ყიფიანი, კ. შათირიშვილი, გ. შალიკაშვილი, დ. ჩარკვიანი, ა. ჯაყელი და სხვა.

წარმოდგენა დაიწყება 8 საათზედ.

ადგილების ფასი: ლოჟები 2 მანეთიდან 10 მანეთამდე, ბალკონი 50 კაპეიკიდან 1 მანეთამდე, გალერეია 20 კაპ.—35 კ.

შეგირდებისათვის ადგილები 40 კაპ.

მზადდება წარმოსადგენად „ღვარი“ დრ. 4 მოქ. „მარუჩა“, „შიო თავადი“, „სულით ობოლნი“ და სხვანი.

რეჟისორი ვალერიან გუნია.

კვირას, 25 სექტემბერს, 1905 წელს, სათავად-აზნაურო ბანკის ბაღში (სასახლის ქუჩაზე) გაიმართება

სეირნობა

საქველმოქმედოდ ბაზრითურთ.

ქართველ ქალთა საქველმოქმედო საზოგადოების სასარგებლოთ.

ბაზრობა დაიწყება დიდის 12 საათზე და გაგრძელდება სალამოს 10 საათზე. სეირნობის დროს ბაღში დაუკრავს მუსიკა.

ბაღში იქნება სპილოზე გასართობი, უჩინმაჩინის ქუდი, ფოსტა, მკითხაობა და სიურპრიზები.

სათავად-აზნაურო თეატრის ფოეში გაიმარდება

ცეკვა

ბაღში შესასვლელი ბილეთი დღეებისათვის ღირს 20 კ., ბავშვებისთვის—10 კ.

ვ. გადილიას წიგნის მაღაზიამ მიიღო შემდეგი ახალი წიგნები:

Белтовъ.	Къ вопросу о монистическ. взглядѣ на исторію. С.П.Б. 1905 г. Ц. 1 руб. 50 коп.
К. Каутскій.	Соціальный переворотъ. На другой день. СПБ. 1905 г. Ц. 20 к.
,,	Нашъ взглядъ на патріотизмъ и войну. Св. Фр. Ассизскій. С.П.Б. 1905 г. Ц. 10 к.
,,	Экономическое развитіе и общественный строй. Ком. къ полож. Эрф. съѣзда С.П.Б. 1905 г. Ц. 20 к.
,,	Классовые интересы. О. 1905 г. Ц. 5 коп.
,,	Кризисъ Австріи (Языкъ и нація). К. 1905 г. Цѣна 10 к.
,,	Воспоминанія (Автобіографія). О. 1905 г. Ц. 5 коп.
,,	Программа германской рабочей партіи. Ц. 10 к.
К. Марксъ.	Капиталъ. Т. 1. Подъ редакціей П. Струве. СПБ. 1899 г. Ц. 3 руб.
,,	Классовая борьба во Франціи. Съ пред. *Ф.* Энгельса. СПБ. Ц. 20 коп.
,,	Кэри и Бастія. Марксъ объ искусствѣ. СПБ. Ц. 10 к.
Ф. Энгельсъ.	Крестьянскій вопросъ во Франціи и Германіи. О. 1905 г. Ц. 15 к.
,,	Философія. Политическая экономія. Соціализмъ. Антидюрингъ. СПБ. 1905 г. Ц. 1 р. 50 к.
А. Бебель.	Грѣхи центра. О. 1905 г. Ц. 6 к.
,,	Антисемитизмъ и пролетаріатъ. О. 1905 г. Ц. 10 коп.
П. Лафаргъ.	За и противъ коммунизма. О. 1905 г. Ц. 15 к.
,,	Благотворительность. О. 1905 г. Ц. 8 к.
,,	Воспоминанія о К. Марксѣ. О. 1905 г. Ц. 10 к.
Ж. Жоресъ.	Идея мира и солидарность пролет. О. 1905 г. Ц. 12 к.
Жоресъ и Бебель.	Двѣ рѣчи на раб. конгрессѣ. О. 1905 г. Ц. 10 коп.
А. Менгеръ.	Анархизмъ и коммунист. государство. О. 1905 г. Ц. 20 коп.
Ж. Ланэ.	Ростъ соціализма въ Соед. Шт. О. 1905 г. Ц. 10 коп.
Колонтай.	Къ вопросу о классовой борьбѣ. СПБ. 1905 г. Ц. 10 коп.
Л. Буржуа и А. Метэнъ.	Основы государственн. устройства Франціи. СПБ. 1905 г. Ц. 10 к.
Г. Зидовъ.	Рабочее законодательство и раб. реформа въ Германіи. О. 1905 г. Ц. 6 к.
М. Оленовъ.	Государство и страхованіе рабочихъ. СПБ. 1905 к. Ц. 10 к.
Р. Зейдель.	Норма рабочаго дня. О. 1905 г. Ц. 5 к.
С. Вржосекъ.	Основы госуд. устройства на Западѣ. СПБ. 1905 г. Ц. 7 к.
В. Ривсъ.	Женское избирательное право. К. 1905 г. Ц. 15 коп.
,,	Что такое рабочій день?
Н. Ленинъ.	Аграрный вопросъ и «Критики» Маркса. О. 1905 г. Ц. 15 к.
Либкнехтъ.	Наши цѣли. СПБ. 1905 г. Ц. 7 к.
В. Браке.	Долой соціалъдемокадтовъ! О. 1905 г. Ц. 8 к.
М. Шиппель.	Профессіональные союзы рабочихъ. О. 1905 г. Ц. 15 к.

ქალაქს გარეთ მცხოვრებთ შეუძლიანთ ფასდადებითაც გაიწეროთ (съ налож. плат.).

ჩვენი ადრესი: ქ. თბილისი, კიროჩნაია, № 7. (Г. Тифлисъ, Кирочная, № 7).

რედ.-გამომც. **ი. პ. როსტომაშვილი.**

Дозволено Цензурою. Тифлисъ, 24-го Сентября 1905 г.

სტამბა ე. ი. ხელაძისა, რუსის ბაზარი, სახლი სომხ. სას. სემ.